საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 19-20 ოქტომბერი. 2019 წ. №208 (8874) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მშობლებო, გაუფრთხილდით შვილებს!



შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სოციალურ ქსელში ბავშვის ვიდეოების გავრცელებასთან დაკავშირებით მშობლებსა და ზოგადად, მოქალაქეებს მიმართავს.

კერძოდ, უწყების ცნობით, **სოციალურ ქსელში გავრცელებული ბავშვის ფოტოები და ვიდეოები, სადაც იკვეთება მისი ასაკისთვის შეუსაბამო ქცევის და სწავლის ნიშნები, შეიცავს საყურადღებო რისკებს არასრულწლოვანის განვითარებისთვის.** ამიტომ, შსს მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მშობლების ინფორმირება მსგავსი მასალის გავრცელების საფრთხეებსა და ბავშვის განვითარების რისკებთან დაკავშირებით.

ამასთან, როგორც შსს-ში აცხადებენ, აღნიშნულს სჭირდება გრძელვადიანი მულტიდისციპლინური მუშაობა, სადაც ჩართული უნდა იყვნენ როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა სოციალური სამსახურის, სახალხო დამცველის აპარატის, მანდატურის სამსახურისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით ქეისკონფერენცია გამართა.

შეხვედრაში მონაწილე უწყებები **მოუწოდებენ, როგორც აღნიშნულ ოჯახს, ასევე ზოგადად, მშობლებს, რომ თავი შეიკავონ მსგავსი შინაარსის ფოტოებისა და ვიდეოების დამზადებისა და განსაჯაროებისგან. ვინაიდან, მსგავსი მასალის ფოტო-ვიდეოგადაღება-გავრცელებამ შეიძლება ,გამოიწვიოს ბავშვის ინტერესების უგულებელყოფა, შეაფერხოს მოზარდის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარება. ამასთან, არსებობს იმის საფრთხე, რომ ბავშვი შეიძლება გახდეს ბულინგის მსხვერპლი, მათ შორის, ონლაინ სივრცეში.**

ამდენად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, არასრულწლოვნის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას და განვითარებას.

შეხვედრის მონაწილეები აღნიშნულ ოჯახთან მუშაობის სტრატეგიასა და ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შემდგომი მონიტორინგის საკითხებზე შეთანხმდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი სეულში ვიზიტით მიიწვიეს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარეს მუნ ჰი-სანგის შეხვდა და ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხები განიხილა. საქართველოს პრეზიდენტმა სტუმარს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ოკუპირებულ რეგიონებში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი: აფხაზური ენა და კულტურა გაქრობის საფრთხის წინაშეა, მოსახლეობას შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილება, ადგილობრივ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება.



მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში კორეის რესპუბლიკის საელჩოს გახსნის მნიშვნელობაზე, რაც საქართველოს პრეზიდენტის აზრით, მეტ შესაძლებლობას გააჩენს ხალხთა შორის ურთიერთობების განვითარების მიმართულებითაც. საქართველოს პრეზიდენტი კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ მუნ ჰი-სანგიმ კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით სეულში ვიზიტით მიიწვია, თავის მხრივ, სალომე ზურაბიშვილმაც მოიწვია კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოში.

მაჭყუარა ირაკლი აბესაძის საპასუხოდ

„2000 წლიდან დღემდე საქველმოქმედო დახმარების სახით კულტურის მოღვაწეებზე 130 მლნ ლარზე მეტი გაიცა“, — პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელს ირაკლი აბესაძეს უპასუხა.

როგორც აბესაძემ განაცხადა, პროექტი „ქველმოქმედი ივანიშვილი“ დასრულებულია მას შემდეგ, რაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ახლა ის ფულს ხარჯავს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პირადი ქონების შექმნისთვის და ის დიდი ხანია, აღარ ხარჯავს ფულს კულტურისა და სპორტის მოღვაწეების დაფინანსებისთვის. მდინარაძემ სხდომაზე აბესაძის გაცხადების ციტირება მოახდინა და საპასუხოდ ბიძინა ივანიშვილის მიერ ქველმოქმედებასა და სხვადასხვა პროექტებისთვის დახარჯულ თანხებზე ვრცლად ისაუბრა: **„2000 წლიდან დღემდე საქველმოქმედო დახმარების სახით კულტურის მოღვაწეებზე გაიცა 130 მლნ ლარზე მეტი. მხოლოდ 2018 წელს 1000 პირზე გაიცა 5მლნ ლარი. კულტურის სფეროში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯული თანხა 600 მლნ ლარზე მეტია. 2018 წელს მხოლოდ კულტურის სფეროში ამგვარ პროექტებზე დახარჯულია 25 მლნ ლარი. სპორტში, 2000 წლიდან ფონდი „ქართუ“ 200-ზე მეტი დამსახურებული სპორტსმენისათვის ქველმოქმედებას აწარმოებს, ჯამური თანხა — 74 მლნ ლარი. სპორტის სფეროში ინფრასტრუქტურული პროექტები — 137 მლნ ლარი. მხოლოდ 2018 წელს გაცემულია 1 907.0 ათასი ლარი. სულ 2018 წელს სპორტის სფეროში გაცემულია 17 მლნ ლარი. ბუნებრივია, დაფინანსება გრძელდება ახლაც“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ჭეშმარიტი მამულიშვილი: ბიზნესმენი, ფერმერი ელგუჯა ნოზაძე – 80

„წინაპართაგან მომდგამს, რომ კაცობისა და სიმართლის გზისთვის არ უნდა მეღალატა“... ⑥

ლიპარტელიანი მსოფლიო ჩემპიონია

„ეთერის არია ⑩ მაროკოშიც აჟღერდა“

გახარია სამხრეთ კორეის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე მუნ ჰი-სანგის შეხვედრის მთავარი თემა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული წარმატებული რეფორმები იყო.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი სამხრეთ კორეასა და საქართველოს შორის თანამშრომლობას შეეხო.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, აღინიშნა, რომ სამხრეთ კორეასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის 30 წელია, არსებობს და წლიდან წლამდე ეს თანამშრომლობა ვითარდება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და ხალხთა შორის ურთიერთობების მიმართულებით.

სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა სამხრეთ კორეის რესპუბლიკიდან ტურისტული ნაკადის ზრდის დინამიკას და გამოთქვა იმედი, რომ ტურისტების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როდესაც სამხრეთ კორეული საზოგადოება საქართველოს მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავს.

აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტი:

საქართველოს შეუძლია, ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს

— ამის შესახებ აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტმა ტაკეჰიკო ნაკაომ საქართველოს ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში გამართული მოლაპარაკებებისას, მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსთან 2019-2023 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის მიზანია რეგიონული კავშირების გაღრმავება, კერძო სექტორის განვითარება, ურბანული განვითარების მხარდასაჭერად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაძლიერება, აზიის განვითარების ბანკის [ADB] როლის გაფართოება-გავრცელება განათლების, პროფესიული განვითარებისა და საჯარო მმართველობის მიმართულებით.

ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტები შსს-ს აკადემიაში

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, სამინისტროს აკადემიაში ახალი სასროლეთი, სპეციალური ოპერაციების პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრული იმიტირებული საცხოვრებელი ნაგებობა და ფიზიკური მომზადების სივრცე გახსნა.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამივე ინფრასტრუქტურული პროექტი სამინისტროს საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში განხორციელდა.

მინისტრმა ახალი ინფრასტრუქტურა დაათვალიერა, აკადემიის მსმენელებსა და თანამშრომლებს შეხვდა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გია ვოლსკის თქმით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ განცხადებებში პოლიტიკური მიმართულება იკვეთება.

ჟურნალისტებთან საუბარში გია ვოლსკი გენერალური პროკურორის შალვა თადუმაძის დიპლომის თაობაზე კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

„შალვა თადუმაძის დიპლომი ნამდვილია, ჩვენ ეს ვიცით. თუ ვინმეს საწინააღმდეგო პოზიცია აქვს და ამას ადასტურებს, ამ თემაზე უნდა ისაუბროს. შალვა თადუმაძე არის ადამიანი, რომელსაც შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია. „საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველომ“ თავის განცხადებებში პოლიტიკური მიმართულება აიღო, ასეთი განცხადება იყო პენსიებთან დაკავშირებით. ისეთი განცხადებები აქვს ჩამოყალიბებული, როგორიც

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ რიტორიკა, სამწუხაროდ, პოლიტიკურია!

გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

ამასთან, ვოლსკი გამოეხმაურა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინფორმაციას საჯარო სამსახურში ხელმძღვანელი პირების ნათესავების დასაქმების თაობაზე. ვოლსკის განცხადებით, სამწუხაროა, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკურ ჯგუფში არის ჩართული.

„საპარლამენტო არჩევნებს რაც უფრო დავუახლოვდებით, ასეთი განცხადებები უფრო მეტი იქნება. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩართულია პოლიტიკურ ჯგუფში. თუ რაიმე მაგალითი არსებობს იმის, რომ ვინმე არასწორად დაინიშნა სადმე, ან ნათესაობით, დაბალი ინტელექტუალური მონაცემები აქვს, მაგრამ თანამდებობაზე წინ არის, ამის თაობაზე კონკრეტული ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს და შეფასება მივცეთ“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

წვრთნებისა და შეფასების ცენტრი ახალი მანქანებით აღიჭურვა

„თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდის“ ფარგლებში, ნატომ ქართულ მხარეს ავტოტრანსპორტი გადასცა. ახალი ტექნიკის გადმოცემა ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) მოხდა.

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

„JTEC განაგრძობს ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებას. ნატო-ს „თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდის“ მიერ სატრანსპორტო ტექნიკის გადმოცემით, ვხედავთ ხანგრძლივი, თუმცა ძალიან ნაყოფიერი პროცესის შედეგს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

მან პროექტში მონაწილე ქვეყნებს ფინანსური კონტრიბუციისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ხელს შეუწყობს JTEC-ის პერსონალის მობილურობისა და ზოგადად, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. პროექტი დანიის სამეფოს, გერმანიის, იტალიის, ლიეტუვას, ნორვეგიის, პორტუგალიის, თურქეთისა და გაერთიანებული სამეფოს დაფინანსებით და ნატოს უზრუნველყოფისა და შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა.

თავდაცვის მინისტრმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებასა და მისი განვითარების სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა JTEC-ის მნიშვნელობასა და მისი განვითარების პერსპექტივაზე. საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის როზარია პუგლისის განცხადებით, JTEC არის წარმატების მაგალითი და ნატო-საქართველოს დინამიური თანამშრომლობის ხელშესახები შედეგი.

„მისი არსებობის სამი წლის განმავლობაში, JTEC-ში მომზადება ათასობით ქართველმა და ნატოელმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა. ეს არის კონკრეტული ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად და დღითი დღე აახლოებს თქვენს ქვეყანას ნატოში გაწევრიანების მიზანთან“, — აღნიშნა ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა.

ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში ჰელენა სანდ ანდრესენის თქმით, საქართველოსთვის ავტომანქანების გადმოცემა ნატოს მხრიდან ცენტრის მიმართ აღებული ვალდებულებების კიდევ ერთი დასტურია.

რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაში?

«ქართული ოცნების» დეპუტატების ვერსიები

„თიბისი ბანკის“ და მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ „მთავარი არხის“ ეთერში სკანდალური განცხადება გააკეთა. მან გაიხსენა 2017 წლის შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან სოლოლაკის სასახლეში, სადაც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მას განუცხადა, რომ ის ვერ ერკვევა გეოპოლიტიკურ სიტუაციაში. მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ანაკლიის პროექტზე უარის თქმისკენ მოუწოდა, რადგან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მიიჩნევდა, რომ შავ ზღვაში ამერიკელების ადგილი არ არის.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე მმართველი გუნდის წევრები. დეპუტატებს ერთი კითხვა დავუსვით: რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაში?

კობა კობალაძე:

„ყველა შეხვედრაზე, საერთაშორისო პარტნიორებთან თუ სხვა ფორმატში, მუდმივად ვსაუბრობთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის მნიშვნელობაზე. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი არის ერთადერთი კომერციული პროექტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში მოხვდა. შეუძლებელია, სახელმწიფომ ამაზე უფრო მაღალი შეფასება მისცეს პროექტს და მის მნიშვნელობას ქვეყნისთვის. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი გამორჩეული სტრატეგიული პარტნიორია, მათ კარგად ესმით შავი ზღვის რეგიონისა და კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის როლი მსოფლიო უსაფრთხოებაში. საქართველოს და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა და პარტნიორობა ასეთ მაღალ დონეზე არასდროს ყოფილა“.

კარლო კოპალიანი:

„ამერიკელებს შავ ზღვაში რა უნდათ, არ ვიცი, მაგრამ მამუკა ხაზარაძის არც ერთი სიტყვის არ მჯერა, ეს არის მატყუარა ადამიანი, რომელსაც წლების განმავლობაში უამრავი ვინმე ჰყავს მოტყუებული“.

ცოტნე ზურაბიანი:

„ამერიკის შეერთებული შტატები გახლავთ ჩვენი უმთავრესი პარტნიორი, ჩვენ ისე როგორც არასდროს, დღეს გვაქვს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით, ეს იქნება უსაფრთხოება, ეკონომიკა, თუ ეს იქნება სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულება, გვაქვს სრული მხარდაჭერა. სიტყვათა წყობა, რომელიც მამუკა ხაზარაძემ გამოიყენა, არის მისი,თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, ვინ ამბობს. სად იყვნენ აქამდე? რატომ არ საუბრობდნენ ამ პრობლემებზე?

დღეს ისეთ საკითხებზე დაიწყეს საუბარი, რაზეც ჩვენთან ყოფნის დროს არასდროს უსაუბრიათ. ჩვენ თუ დავაკვირდებით, ბოლო თვეებში მამუკა ხაზარაძის განცხადებებს ვნახავთ, რომ ყოველთვის ყოველგვარ მტკიცებულებებს მოკლებულია მისი საუბარი. როდესაც სახელმწიფო თავის ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს ანაკლიის პორტთან მიმართებაში, ხოლო კომპანია დაკისრებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს, აქ კითხვის ნიშნები ზედმეტია. ვერ წარმომიდგენია, სახელმწიფომ რა უნდა გააკეთოს, რადგან „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ კონკრეტული შედეგი ვერ დადო. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საკითხისთვის პოლიტიკური მიმართულება მიეცათ, თუმცა, ეს მათი გადაწყვეტილებაა. არგუმენტების გარეშე საუბარი ვფიქრობ, რომ ჭორაობაა. სტრატეგიულად რომ უმნიშვნელოვანესია ანაკლიის პორტის მშენებლობა, არის ერთმნიშვნელოვანი და ეს კონკრეტული ნაბიჯებით არის დადასტურებული, მეორე მხარე კი თავის ვალდებულებებს ვერ ასრულებს და ცდილობს, ისრები სხვა მხარეს გადაქაჩოს“.

რუსეთთან ავიამიმოსვლა იწყება

ორ რუსულ კომპანიაზე ნებართვა უკვე გაიცა

რუსეთმა ორ ავიაკომპანიას საქართველოში რეისების განხორციელების უფლება მისცა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ორ ქვეყანას შორის ავიამიმოსვლა მალე აღდგება. ჯერჯერობით ოფიციალურ დონეზე ამ ინფორმაციას არც ერთი ქვეყნის წარმომადგენელი არ ადასტურებს, თუმცა მეზობელი ქვეყანა რომ მსგავს გადაწყვეტილებას ტყუილუბრალოდ არ მიიღებდა, ეს ყველამ კარგად იცის.

რუსეთის საჰაერო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს გადაწყვეტილებით, ავიაკომპანია „სიბირს“ და „გლობუსს“ მოსკოვიდან ქუთაისის აეროპორტში ავიამიმოსვლის უფლება მიეცა. ოფიციალური დოკუმენტი ფედერალური სააგენტოს ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. დოკუმენტის მიხედვით, რუსულ ავიაკომპანიებს ქუთაისის მიმართულებით კვირაში შვიდი რეისის განხორციელების შესაძლებლობა ექნება. როგორც რუსულ მედიას საჰაერო ტრანსპორტის ფედერალურ სააგენტოში განუცხადეს, ნებართვის მიცემა არ ნიშნავს იმას, რომ რეისების დაწყება უკვე გადაწყვეტილია.

რუსეთმა საქართველოს მიმართულებით ავიაკომპანიებს რეისების განხორციელება მიმდინარე წლის 8 ივლისის ბრძანებით აუკრძალა. მიზეზი თბილისში დეპუტატ სერგეი გავრილოვის ვიზიტის წინააღმდეგ გამართული მასშტაბური საპროტესტო აქციები გახდა.

მოსკოვიდან ფრენის შესაძლო აღდგენასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში კომენტარს ჯერ არ აკეთებენ. სამაგიეროდ, ფაქტს უკვე გამოეხმაურა ეკონომიკის მინისტრი **ნათია თურნავა**, რომელმაც არ დაადასტურა ოფიციალურ დონეზე საკითხის გადაწყვეტა. **„ცნობილია ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით, თუ რუსეთის ოფიციალური წრეები გადახედავენ მიღებულ გადაწყვეტილებას და აღდგება პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა საქართველო-რუსეთს შორის. რა ფაქტზეც მიწევს კომენტარის გაკეთება, ეს გავრცელდა რუსულ მედიაზე დაყრდნობით და ჯერჯერობით არ ნიშნავს ფრენების აღდგენას. ამისთვის არსებობს მთელი რიგი ფორმალური პროცედურები და ჩვენ საჰაერო ადმინისტრაციას არ მიუღია რაიმე სახის შეტყობინება, რომ ფრენები აღდგენილია. აქედან გამომდინარე, ვერ დავადასტურებ, რომ ეს არის ფრენების აღდგენა, მაგრამ ვიმეორებ ჩვენ მივესალმებით, თუკი ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული“,** — განაცხადა ნათია თურნავამ.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, როდესაც საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირი ავიარეისების შესრულება აღდგა, სწორედ „სიბირი“ იყო ერთ-ერთი პირველი ავიაკომპანია, რომელმაც საქართველოში რეისების განხორციელება დაიწყო.

გეძა დანელია

მიდით მძღოლებო, მიდით... რაც უფრო მეტს დაარღვევთ, მით უკეთესი!

სახელმწიფომ მძღოლებისგან ნახევარ მილიარდამდე ლარი ამოიღო

საგზაო წესების დარღვევისთვის სახელმწიფომ მძღოლებისგან 2019 წელს, მხოლოდ 6 თვეში 62 804 915 მილიონი ლარი ამოიღო. აქედან, 30 927 677 მილიონი ლარი მხოლოდ ვიდეოჯარიმებზე მოდის. „2020NEWS“-მა შს სამინისტროდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების ბოლო წლების სტატისტიკა გამოითხოვა და როგორც მონაცემებიდან ჩანს, საგზაო წესების დარღვევისთვის ჯამში, სახელმწიფომ მძღოლებისგან 459 661 439 მილიონი, თითქმის ნახევარი მილიარდი ლარი მიიღო.

მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჯარიმების რეკორდი 2018 წელს მოიხსნა. სამართალდამცავებმა გასულ წელს 90,931,488 მილიონი ლარის ჯარიმა გამოწერეს და ავტომანქანების მფლობელმა მძღოლებმა გადაიხადეს. აქედან 36,294,883 მილიონი ლარი ვიდეოჯარიმებზე მოდის. დიდი ალბათობით, წელს 2018 წლის „რეკორდი გაუმჯობესდება“, რადგან მიმდინარე წელს, მხოლოდ 6 თვის მონაცემების მიხედვით, თითქმის 63 მილიონი ლარის ჯარიმები უკვე გამოწერილია. ტენდენციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წლის ბოლოსთვის ეს ციფრი გაორმაგდება და 100 მილიონ ლარს საგრძნობლად გადააჭარბებს.

შს სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებმა 2017 წელს ჯარიმებში 59,178,140 მილიონი ლარი გადაიხადეს, აქედან 6,405,846 მილიონი ვიდეოჯარიმებში; 2016 წელს საერთო ჯარიმების რაოდენობამ 56,563,990 მილიონი ლარი შეადგინა, აქედან ვიდეოჯარიმებზე 7,720,460 მილიონი ლარის გადახდა მოხდა. 2015 წელს 61,263,323 მილიონი ლარი გადაიხადეს დამრღვევმა მძღოლებმა და აქედან 8,330,908 მილიონი ვიდეოჯარიმებზე მოდის. 2014 წელს ეს ციფრი 61,066,594 მილიონს შეადგენდა და აქედან 10,562,285 მილიონი ლარი ვიდეოჯარიმებიდან ამოიღეს. 2013 წელს მძღოლები 67,852,986 მილიონი ლარით დაჯარიმდნენ, საიდანაც 12,579,129 მილიონი ვიდეოჯარიმებზე მოდის. 2012 წელს, ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ხანაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის, 40,371,041 მილიონი ლარის ჯარიმები გამოიწერა და აქედან 8,023,971 მილიონი ლარი ვიდეოჯარიმებზე მოდის. 2011 წლის მონაცემების მიხედვით კი — ჯარიმებში მძღოლებმა 63,938,713 მილიონი ლარი გადაიხადეს და აქედან 3,011,771 მილიონი ლარი ვიდეოჯარიმებზეა.

საგულისხმოა, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი ამოქმედდა, რასაც ავტომობილების მძღოლებისთვის უნდა გაემარტივებინა კანონდარღვევის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა და 10 სამუშაო დღეში გადახდის შემთხვევაში, სავალდებულო საურავზე 20%-იანი შეღავათით ისარგებლებდა. 2019 წლის მონაცემებით, მძღოლების მიერ 20% შეღავათით სარგებლობის 354 546 ფაქტი აღირიცხა, რომელთა რაოდენობამ, მიმდინარე წლის ორი კვარტალის მონაცემით, 13 276 923 ლარი შეადგინა. ცნობისთვის, 2018 წლის დასაწყისში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 170 ვიდეოკამერა ფუნქციონირებდა. ამჟამად კი, მთელი ქვეყნის მასშტაბით — 2204 ვიდეოკამერა მოქმედებს. მათ შორის 829 ნომრის ამომცნობია, 1375 კი ზოგადი ხედვის კამერაა.

ლაშა ნაცვლიშვილი: პოლიტიკური ოპოზიციის გადარჩენა იყო მისია „ქართული ოცნებისა“!

კოჰაბიტაციის შედეგები და ბრძოლა წესების გარეშე, როცა დაუსჯელი „დასასჯელები“ ოპონენტების დასჯაზე დისკუსიის ლეგიტიმაციას ცდილობენ... და კიდევ, „გაცნობიერებული გადაწყვეტილების“ აღიარება, ეს ის თემებია, რომელზეც პარტია „ქართული ოცნების“ პიარ-კონსულტანტმა ლაშა ნაცვლიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ისაუბრა. გთავაზობთ ინტერვიუს ტექსტურ ვარიანტს.



ლაშა ნაცვლიშვილი: ...მცირე შესწორებას შემოგთავაზებთ – მოუკვლელი დათვის ტყავის შესახებ დისკუსია ქართულ და, ზოგადად, სამონადირეო ეპოსში მიღებული ამბავია, მაგრამ მონადირეები, რომლებიც ჯერ მოუკლავი დათვის ტყავს იყოფენ, მათ აქვთ პოტენციალი, რომ მოკლან დათვი, თუმცა ჩვენ ამ მხრივაც აბსოლუტურ გროტესკს ვაწყდებით, ე.ი. პოლიტიკური საჭურისები ბრუტალური გაუპატიურებით იმუქრებიან. შეიძლებოდა ამ დისკურსში დარჩენა და იუმორისტულად შეგვეფასებინა ეს დისკუსია, რომელიც წმინდა წყლის კრიმინალებს შორის იმართება. იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი არსით, ბუნებით, წარსულით, აწმყოთი და, სამწუხაროდ, მომავლითაც არის დანაშაულებრივი და მავნებელი პოლიტიკური ძალა, მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ, საზოგადოებას ვუთხრათ, რასთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, ეს არის პიარ კამპანია, ეს არის ერთგვარი პიარ-ტექნოლოგიური ხრიკი, პიარ-ტექნოლოგიური გეგმა. მე მგონი, ვიცნობ კიდეც ამ გეგმის ავტორს, მაგრამ ახლა პერსონალიებზე რომ არ შევჩერდეთ, თუ საშუალება მაქვს იმაზე ვისაუბრებ, რა არის ამ გეგმის, ასე ვთქვათ არსი, მიზანი და ამოცანა.

პირველი, ეს არის გეგმა, მოკლედ რომ ვთქვათ, „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ფრთა მოჩვენებითად გაემიჯნოს ერთმანეთს, რათა მოიცვას ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის უფრო ფართო სპექტრი. კლასიკური ლიბერალები დაიტოვოს ბოკერიას მიმართულებამ, ხოლო, ასე ვთქვათ, ტრადიციონალისტები მოიცვას მიხეილ სააკაშვილმა და მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, ამოცანა ის არის, რომ ჩვენ და საზოგადოებამ უნდა დავიჯეროთ, რომ ბოკერია ნაცი არ არის, ხოლო მიხეილ სააკაშვილი არის ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის მცველი, მართლმორწმუნე ქრისტიანი, რომელიც პრაქტიკულად, იმდენად ერთგულია ტრადიციული დისკურსის, რომ ის გადის ლიბერალური ნარატივიდან...

ეს ამოცანა თავისი არსით შეუსრულებელია, როგორმა ძლიერმა პიარ-ტექნოლოგებმაც არ უნდა დაგეგმონ და როგორც არ უნდა სცადონ ამის განხორციელება, ამას წინ უდგას არა „ქართული ოცნების“ საპირისპირო პიარი, არამედ ისინი არიან საკუთარი წარსულის მძევლები. ნახეთ იმ ძალისხმევაში, რომელსაც ისინი ხარჯავენ, რომ ქართველი ხალხი დაარწმუნონ, თითქოს ერთი მართლმორწმუნე ქრისტიანია, ხოლო მეორე შემწყნარებლობის და ლიბერალობის, ასე ვთქვათ, ყველაზე ჰუმანური პოლიტიკური დისკურსის ავტორი. **ნახეთ, როგორ პრიმიტიულად, როგორ თავხედურად და უტიფრად სთავაზობენ საზოგადოებას.** ტელეთერებში გაითამაშებენ რაღაც სპექტაკლს, იმაში დარწმუნებულები, რომ ქართველი ხალხი ამას დაიჯერებს, რომ ამ ხალხს ყველაფერი შეიძლება აკადრო. **საკუთრივ ეს მცდელობა არის უტიფრობა და ცინიზმი.** მათ ვერაფერი ვერ ისწავლეს და ვერაფერი ვერ დაივიწყეს. მათი პოლიტიკური წარსული არის მათი ამ პიარ-ტექნოლოგიური გეგმის განხორციელების გზების მთავარი ზღუდე და ბარიერი. რაც შეეხება ზუსტად ამ პიარ-ტექნოლოგიურ ბაზისზე დაშენებულ ზედნაშენს – დისკუსიას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, დამფუძნებლის და წევრების სავარაუდო გასამართლების თაობაზე – წარმოვიდგინოთ, ასეთი ძალიან უხეში ანალოგია. **ნიურნბერგის პროცესის დროს გერინგი და კეიტელი განიხილავდნენ, როგორ უნდა დასაჯონ ეიზენჰაუერი. ამის მსგავსი სხვა ანალოგი მე არ მახსენდება.**

ჩემი აზრით, პიარ-ტექნოლოგიური ხრიკი, ეშმაკი ჩაბუდებული ამ დისკუსიაში არის ეს გადაძახილი: „ჩვენ არ უნდა დავიჭიროთ!“ და მერე იქიდან გადმოძახილი, ექო, რომ „არა, ჩვენ ესენი უნდა დავიჭიროთ“! ეს არის მცდელობა, მოახდინონ ამ დისკუსიის ლეგიტიმაცია. თითქოს, ერთი მხრივ, ბოკერიას და, მეორე მხრივ, სააკაშვილს შორის ლეგიტიმურია დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დასაჯონ მათ ივანიშვილი. ეს არის ერთგვარი „ოვერტონის ფანჯარა“ , რომ მათ ლეგიტიმურ პოლიტიკურ სივრცეში შემოიტანონ დისკუსია ამის თაობაზე, როცა ისინი მოვლენ ხელისუფლებაში, რაც, ალბათ, ძალიან მძიმე სიზმარშიც წარმოუდგენელია როგორც საზოგადოებისთვის, ასევე მათთვის. თუმცა მათ უკვე შეიძლება, სჯერათ, იმდენად ჩაკეტილ წრეში არიან, რომ შეხედავ, რაღაცნაირად შეპყრობილებს ჰგვანან, ვიდრე რაციონალურ პოლიტიკურ მოთამაშეებს. მაგრამ, ამ დისკუსიის ლეგიტიმაციას შეიძლება ასევე ხელი შეუწყო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისა და საკუთრივ „ქართული ოცნების“ სპიკერების გულწრფელმა აღშფოთებამ.

ეს არის ამოცანა, რომ აქ შევიდეთ, მაგრამ ვინაიდან ეს დისკუსია რაღაცნაირად საჯარო სივრცეში შემოვიდა, ჩვენ ვალდებული ვართ, ვთქვათ: „ვინ ლაპარაკობს ვის დაჭერაზე“? ეს არის თავიდან ბოლომდე დანაშაულებრივი პოლიტიკური ძალა და უკლებლივ ყველა ფიგურანტი არის პანოპტიკუმი. სააკაშვილიდან ბოკერიამდე უკლებლივ ყველა სისხლის სამართლის დამნაშავეა, ესენი არიან კრიმინალები. მოდი, ჩამოვთვალოთ:

მიხეილ სააკაშვილი – იგი გასამართლდა და არის მსჯავრდებული, აღძრულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, ეს არის, თუ არ ვცდები, ვალერი გელაშვილის ცემის შეკვეთა – პოლიტიკური ანგარიშსწორების შეკვეთა. ასევე, ის არის მსჯავრდებული მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის ბრალდებით, გირგვლიანის მკვლელების შეწყალებაში.

„ქართუს“ გაკოტრების საქმე... ასევე არის სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე, 8 თუ 10 მილიონის ფლანგვაზე... ასევე არის ბადრი პატარკაციშვილის და ამ ტელევიზიის მიტაცებისა და ე.წ. მემორანდუმის საქმე, რომელშიც ბევრი მათგანი ფიგურირებს.

ნიკანორ მელია, ეს კაცი, ხელზე სამაჯურით, იყო ორგანიზატორი პარლამენტზე მიტანილი ძალადობრივი შტურმის, ახლა მიდის მისი სასამართლო. ასევე, მიმდინარეობს მეორე სასამართლო, სახელმწიფოს მიტაცების მეორე კლასიკური შემთხვევიდან, ეს არის „ქართუს“ გაკოტრების საქმე. ვის ეთერში განიხილავენ ამას, ეს დისკუსია სად მიდის? ეს დისკუსია მიმდინარეობს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში, რომლის დამფუძნებელი, დირექტორი, უცვლელი იდეოლოგიური ლიდერი თვითონ არის ბრალდებული გაფლანგვაში და კომერციულ მოსყიდვაში, ანუ კორუფციულ დანაშაულში. გადახედეთ მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს – ვისაც გინდათ, ვისაც მიადგებით... **გიგი უგულავა ორ საქმეზეა გასამართლებული...**

ის, რომ **გიგა ბოკერიას** მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა, ან არ დაწყებულა სისხლის სამართლებრივი დევნა ქართული სოციოლოგიური კვლევების უცვლელ ფანტომურ ლიდერზე, მისტიურ კაცზე **დათო ბაქრაძეზე,** არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან კრიმინალები. მე სრული პასუხისმგებლობით, როგორც ყოფილი მთავარი პროკურორი, გეუბნებით, რომ ამ ხალხის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ იქნა დაწყებული გაცნობიერებულად და პროკურატურის კანონით დადგენილი დისკრეციის ფარგლებში.

პატარა ექსკურსს გავაკეთებ, სისხლის სამართლებრივი დევნა არის პროკურატურის დისკრეციული უფლებამოსილება და არა ვალდებულება. სისხლის სამართლებრივი დევნა რომ დაიწყოს პროკურატურამ, უნდა არსებობდეს ე.წ. სრული ტესტი, მტკიცებულებითი ტესტი და საჯარო ინტერესის ტესტი. მტკიცებულებითი ტესტი არის ის, რომ უნდა არსებობდეს დანაშაული და უნდა არსებობდეს პიროვნება, რომელზეც დაბუთებული ვარაუდის სტანდარტით შეიძლება დევნის დაწყება. ეს ტესტი ორივე შემთხვევაში, ბოკერიას და ბაქრაძის შემთხვევაში, ასევე ზოდელავას შემთხვევაში, რომელიც ასევე აქტიურობს სააკაშვილის მხრიდან, ყველა შემთხვევაში იყო გავლილი. მეორე ტესტი, ეს არის საჯარო ინტერესის ტესტი და როდესაც ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებდით, პროკურორი როდესაც იღებს გადაწყვეტილებას დევნის დაწყების, ან არდაწყების თაობაზე, ის წონის, რომელი გადაწყვეტილება უფრო შედის საზოგადოების ინტერესში. თუ კონკრეტული პიროვნების სისხლის სამართლებრივი ინტერესი გადაწონის სხვა საჯარო ინტერესს, დევნა ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს. მაგრამ თუ არსებობს სხვა უფრო მაღალი საჯარო ინტერესი და ის გადაწონის კონკრეტული პირის დასჯის ინტერესს, მაშინ პროკურორი უფლებამოსილია და შეიძლება ითქვას, ვალდებულიც არის, განახორციელოს დევნა!

საჯარო ინტერესი რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს არის ქვეყნის დემოკრატიული და სტაბილური განვითარება. ეს არის ყველაზე დიდი საჯარო ინტერესი, რომელმაც გადაწონა კონკრეტული ადამიანების დასჯის ინტერესი, იმიტომ, რომ სისხლის სამართლის საქმეები, რომლებშიც ისინი იყვნენ მხილებულნი, მაგალითად, დათო ბაქრაძე, რომელსაც 261 ათასი გირვანქა სტერლინგი ჰქონდა დამალული ერთ-ერთ ინგლისურ ბანკში, არ ჰქონდა დეკლარირებული, ფულის გათეთრებით მიმდინარეობდა მის მიმართ გამოძიება. ერთი ნაბიჯი არის დარჩენილი, თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას, დაიწყება დევნა. იგივე გიგა ბოკერია, მოუსყიდველის და რაღაც ებერისტული რიტორიკით რომ გველაპარაკება, უხორცო იდეოლოგის, ეს არის ბანალური ხაზინის ქურდი. ეს არის უშიშროების საბჭოს მდივნობის დროს ათე-

ულობით მილიონი, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი, ლარის გაფლანგვა-მითვისება-არამიზნობრივი ხარჯვა. არავინ იფიქროს, რომ ამ საქმეებს უჭირდა ან მტკიცებულებითი ტესტი არ იყო დადგენილი, ერთადერთი ინტერესი იყო – დემოკრატიის კონსოლიდაცია, იმისთვის, რომ ქვეყანაში შემდგარიყო პოლიტიკური ოპოზიცია, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც იყო ხელისუფლებაში, რომელიც დამარცხდა არჩევნებში და გადავიდა ოპოზიციაში, სრულად არ განადგურებულიყო.

ჩვენ რომ გვესარგებლა მხოლოდ იმ ტესტით, ვინმე კონკრეტული ადამიანის დასჯის ტესტით, მაშინ წინა მოწვევის პარლამენტის ის დარბაზი მთლიანად დაიცლებოდა „ნაციონალური მოძრაობისგან“, იმიტომ, რომ უკლებლივ ყველას ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი. ეს იყო ჩვენი ცნობიერი გადაწყვეტილება. სად გავავლეთ ზღვარი? ზღვარი გავავლეთ ძალადობრივი დანაშაულისა და ისეთი განსაკუთრებული ფორმის კორუფციაზე, საიდანაც გამოსვლა ძალიან რთული იყო.

ჟურნალისტი: ირონიაა, მაგრამ გამოდის, რომ თქვენ ახლა საუბრობთ შერჩევით მართლმსაჯულებაზე, რაზეც საუბრობს ხოლმე ოპოზიცია.

ლაშა ნაცვლიშვილი: კი, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შერჩევითი მართლმსაჯულება მისი საუკეთესო ჰუმანისტური გაგებით. შერჩევითი მართლმსაჯულება გადახრილი არა რეპრესიისკენ, არამედ გადახრილი ე.წ. ლიბერალური შემწყნარებლური მიდგომისკენ. კიდევ ვამბობ, პოლიტიკური ოპოზიციის გადარჩენა იყო აბსოლუტური მისია იმ პოლიტიკური ძალის, რომელიც მოვიდა და რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის დემოკრატიული და სტაბილური განვითარება. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი დასავლელი პარტნიორების ტრადიციული დემოკრატიიდან მომდინარე რჩევები, რომ იქნებ გადააბიჯოთ... კანონიერია, უკლებლივ ყველა აღიარებდა, რომ დაგევლო პარლამენტი და გარედან დაგერტყა, ასე ვთქვათ მავთულხლართი, ან სამინისტროებზე, მით უმეტეს ძალოვანზე, გარედან რომ დაგერტყა და უკლებლივ ყველა სამართლებრივ პასუხისმგებაში მიგეცა, აბსოლუტურად კანონიერი იქნებოდა, მაგრამ გავითვალისწინეთ ჩვენი დასავლელი პარტნიორების რჩევა. და რატომ ვუსმენდით მათ, როდესაც გვეუბნებოდნენ: იქნებ ამაღლდეთ და ფორმალისტურად ნუ მივუდგებით, იმიტომ, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ის, რომ ოპოზიცია გადარჩესო, მაგრამ ჩვენ, გარკვეულწილად, გავედით ჩვენი მანდატიდან. მე ამას ვაღიარებ თქვენ თვალწინ.

ჩვენ, „ქართული ოცნება“ და მე, რომელიც ვიყავი „ქართული ოცნების“ მანდატით არჩეული ერთ-ერთი დეპუტატი, რომელიც მილიონ ორასი ათასმა საქართველოს მოქალაქემ აგვირჩია საქართველოს ხელისუფლებაში სამართლიანობის აღსადგენად და ამ დანაშაულებრივი რეჟიმის დასასჯელად, თუ სადმე კრიტიკა ისმის ჩვენს ლეგიტიმურ შეუსრულებელ დაპირებაზე, ეს ის შეუსრულებელი დაპირებაა, რომელიც ქვეყნის მომავალს სჭირდება. კოჰაბიტაცია, ეს არის შედეგი, ჯამური, კრებსითი სახელი იმ პროდუქტისა, რომელიც ჩვენ შევქმენით, რომელიც ჩვენი მონაგარია. მწარეა ეს მონაგარი, დამნაშავეები აქეთ დაჭერით გვემუქრებიან.

ჟურნალისტი: დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორც ჩანს, უყურებთ ამ საჯარო საზოგადოებრივ ინტერესს, იმიტომ, რომ ეს ხალხი (ზოგს მიესაჯა, ზოგი ამ სახით დარჩა პოლიტიკურ ველზე), დღეს საუბრობს სწორედ პოლიტიკურ რევანშზე.

ლაშა ნაცვლიშვილი: იცით, რა არის დემოკრატიაში ოპონირება? ჩვენს ხელისუფლებას უნიათოს უწოდებდნენ და თვითონ ე.წ. „ნიათიანები“ იყვნენ, მაგრამ დიქტატურაში ოპონირება ყველაზე ადვილია. აი, ასეთი გამოწვევების დროს, ღია მედიაში, თავისუფალ ოპოზიციაში ოპერირება არის ყველაზე რთული და „ქართული ოცნება“ ახერხებს უკვე შვიდი წელია და დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზეც მოახერხებს ასეთ რთულ და გამოწვევებით სავსე ვითარებებში ოპერირებას. ეს არის „ნიათი“, როდესაც შენ შეგიძლია, დაამარცხო ოპონენტი პოლიტიკურ პაექრობაში, როდესაც კონკურენტული გარემო უზრუნველყოფილია.

ჟურნალისტი: აი, ამ კონკურენტულმა გარემომ გამოაჩინა კიდევ ახალშექმნილი პარტიები, არა მხოლოდ ის, ვისაც ვუწოდებთ „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ დანაყოფებს, ერთ-ერთი ასეთი იმედის მომცემი პარტია არის ახლად შექმნილი მოძრაობა „ლელო“. ჯერ პარტია არ არის, მაგრამ მას დაანონსებული აქვს, რომ პარტიასაც შექმნის.

ლაშა ნაცვლიშვილი: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ზაზა ოქუაშვილს წაართვა და დაუხურა ტელეკომპანია „იბერია“. „ქართულმა ოცნებამ“ ზაზა ოქუაშვილს დაუბრუნა ტელეკომპანია „იბერია“. წამრთმეველთა შორის იყო ნიკა გვარამიაც. ამის შემდეგ ზაზა ოქუაშვილმა დააგროვა საქართველოს ბიუჯეტის 50 მილიონი ლარი, ანუ ჩვენი პენსიონერების, პოლიციელების, პედაგოგების და ექიმების ვალი. მათ შორის ნიკა გვარამიამ მიტაცებულ „რუსთავი-2“-ში დააგროვა 25 მილიონი ლარი. ახლა ეს ორი მსხვერპლი და ჯალათი გაერთიანდა და „იბერიის“ ბაზაზე დაიფუძნეს ახალი ტელეკომპანია, რომლის მაუწყებლობის უფლება, ავტორიზაცია ერთ კვირაში გაიარეს. შეგახსენებთ, რომ ამ კომპანიაში შემოვარდნის მთავარი ეგზეკუტორი თვითონ გვარამია იყო. მათ მიიტაცეს „რუსთავი-2“, მათ მიიტაცეს ტელეკომპანია „იმედი“, დახურეს „202“, დახურეს „იბერია“, დახურეს „მზე“ და აბსოლუტურად დაიქვემდებარეს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. აკრძალეს დე ფაქტო ლიცენზიის გაცემა მაუწყებლობაზე და ერთი ხმით ალაპარაკეს სამი ფედერალური არხი. ახლა, ამის მსხვერპლი და ორგანიზატორი გაერთიანდა და ტელეკომპანია „იბერიის“ ბაზიდან, ხალხზე მოპარული ჯამური, 80 მილიონით გვიტევს, მედიის შეზღუდვაში გვდებს ბრალს და ხალხზე „ზრუნვაში“ ამოსდის სული, იმ ხალხზე, ვისაც 80 მილიონი ლარი დეკლარირებულად მოიპარა და აქ მიდის მამუკა ხაზარაძე.

მოკლედ რომ შევაფასო მამუკა ხაზარაძის პოლიტიკაში მოსვლა და მისი პერსპექტივები, მან უკვე მერამდენე მორალური და პოლიტიკური ფსკერი ჩახვრიტა გუშინაც, რომ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო იკრებს ძალას ასეთი რიტორიკული კითხვა, რომელზეც პროკურატურა კი ცდილობს გასცეს ფაქტობრივი პასუხი და ეს კითხვაა – ამან ფული როგორ იშოვნა?

თადუმაძე ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ამან ფულის გათეთრებით იშოვნა ფული, მაგრამ, ზოგადად, ხანდახან ქმედება უნარშეზღუდულის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს.

მე მინდა გაგახსენოთ, ზოგადად, ისტორიის გადაკეთებას აქვს ადგილი. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება პოლიტიკურმა საჯარო პირმა იკადროს, ეს არის ისტორიის გადაკეთება, რევიზიონიზმი. აგერ, გერმანიაში ამბობენ, რომ ჰოლოკოსტის დროს გაზის კანონები არ ყოფილა, ამერიკაში არიან რევიზიონისტები, რომლებიც ამბობენ, რომ მთვარეზე არ დამსხდარან ამერიკელი ასტრონავტები, გაჩნდნენ ახალი რევიზიონისტები და მათში ჩაეწერა ხაზარაძე, რაც ყველაზე სამწუხაროა.

„პროგრესბანკის“ ისტორია რა არის? - ეს არის „ქართუსა“ და „პროგრესბანკის“ პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის ისტორია, როდესაც სააკაშვილი მთელი თავისი მიტაცებული სახელმწიფოთი დაესხა თავს, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური აქტი განახორციელა და სიტყვა არ ამოუღია, ხმა არ ამოუღია და დღეს ეს ბანკი იყიდა. შე კაი ოჯახიშვილო, თუ საკუთარ რეპუტაციაზე ზრუნავ და კანონმორჩილი ხარ, შენმა სტაფმა რომ „პროგრესბანკი“ შეამოწმა, იქ თუ ფულის გათეთრება აღმოაჩინა, ჯერ ერთი, არაფერი უნდა გეყიდა და უნდა შეგეტყობინებინა შესაბამისი ორგანოებისთვის. ამიტომ, თუ გამოძიება და შესაბამისი ორგანოები რაღაცა ტიპის სიღრმეებში ჩავა, არ ვიცი, დაიწყებენ თუ არა ამის შესწავლას, მაგრამ თვითდაზიანებით პოლიტიკაში შემოსვლის კლასიკაა მამუკა ხაზარაძე...

„პუტინის „მახე“ სააკაშვილს ორ გამოსავალს უტოვებდა“...



ამერიკელი დიპლომატი **მეთიუ ბრაიზა** „საქართველოს ინსტიტუტთან უსაფრთხო პოლიტიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 2008 წლის მოვლენებს იხსენებს და აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოს „მახეს უმზადებდა“, ეს „მახე“ კი საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მხოლოდ ორ გამოსავალს უტოვებდა: უსიტყვოდ დასთანხმებოდა რუსეთს, რომ მას კონტროლი აეღო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე, ან შეიარაღებულ კონფლიქტში შესულიყო.

მისივე თქმით, ამ მახიდან თავის დასაძვრენად ვაშინგტონში შემუშავდა გეგმა: **„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გვჭირდებოდა სხვა გეგმის განხილვა და შევიმუშავეთ ზომები, რომლებიც მათ შორის მოიცავდა კოდორის ხეობაში ევროკავშირის პოლიციის ყოფნას, მაგრამ საბოლოოდ გერმანელებმა, რომლებიც „საქართველოს მეგობართა ჯგუფს“ ხელმძღვანელობდნენ, ამოიღეს ყველა ის პირობა, რომელსაც რუსეთი შეეწინააღმდეგებოდა“,** – განაცხადა ბრაიზამ. დიპლომატი კონფლიქტებთან მიმართებაში ევროკავშირის პოლიტიკასაც აკრიტიკებს: **„როდესაც კონფლიქტი არსებობს, კერძოდ სამხედრო კონფლიქტი, ისინი მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ, თან ისე, რომ არავის დანაშაულზე არ საუბრობენ. ამბობენ, რომ ყველა მხარე ნაწილობრივ დამნაშავეა. რაც შეეხება საქართველოს, 2008 წელს დამნაშავე ერთი მხარე იყო: სანამ ცოცხალი ვარ, სულ დავიჯერებ, რომ რუსეთმა მოახდინა ამის პროვოცირება, რუსეთმა დაიწყო თავდასხმა, მაგრამ საქართველოს პასუხი, საუბედუროდ, ისეთი იყო, რომ საბოლოოდ, თავის ინტერესებს ზიანი მიაყენა“.**

ამავე ინტერვიუში ბრაიზა 2008 წლის ბუქარესტის სამიტსაც იხსენებს. მისი თქმით, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მყარად უჭერდა მხარს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას, თუმცა ეს საკითხი გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დაბლოკა და შესაძლოა, მსგავსი რამ მომავალშიც მოხდეს:

„გერმანელები ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ყოველთვის ყველაზე მეტად ცდილობდნენ, კონფრონტაციაში არ შესულიყვნენ რუსეთთან. ეს გასაგებია, ქვეყნის დრამატული ისტორიიდან გამომდინარე. გერმანიის პრეზიდენტი შტაინმაიერი, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ცდილობდა, არ გატარებულიყო ისეთი პოლიტიკა, რასაც დაპირისპირება მოჰყვებოდა რუსეთთან“.

ოპონენტებო, ცოტა ფართო კონტექსტში შეხედეთ თქვენს სასაცილო განცხადებებს

კანონის უზენაესობის პირობებში გამოძიების დაწყებაზე გადაწყვეტილებას **არა პოლიტიკოსები, არამედ შესაბამისი ინსტიტუტები იღებენ,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა ჟურნალისტების კითხვაზე, რატომ არ არის გამოძიება დაწყებული „პროგრეს ბანკთან“ დაკავშირებულ საკითხზე. ამასთან, მისი თქმით, გაუგებარია, რა არგუმენტებს ეფუძნება „პროგრეს ბანკთან“ მიმართებაში შესაძლო ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით ოპონენტების განცხადებები და ბრალდებები.

„გამოძიების დაწყებაზე პოლიტიკოსები არ უნდა იღებდნენ და არც იღებენ გადაწყვეტილებას. კანონის უზენაესობის პირობებში, გადაწყვეტილებას იღებენ ინსტიტუტები, რომლებსაც ეს უფლებამოსილება აქვთ. რაც შეეხება ამ ბრალდებას, მე პირადად ძალიან მიკვირს, რა არგუმენტაციას ეფუძნებიან ჩვენი ოპონენტები, როდესაც საუბრობენ შესაძლო ფულის გათეთრებაზე. ბიძინა ივანიშვილს საქართველოსთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის დახარჯული აქვს 3 მილიარდზე მეტი და ამ 3 მილიარდის პროექტები, ეს არის საზოგადოების პროექტები, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, ინფრასტრუქტურა, განათლების სფერო და ისეთი პროექტები, საიდანაც პირადად მას და მის ოჯახს არანაირი მოგება არ მიუღია“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბოლო ასეთი პროექტის მაგალითი არის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც თალაკვაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი კოლოსალურ ქველმოქმედებას ახორციელებს.

„ამ პროექტიდან ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი უშუალოდ მოგებას ვერ მიიღებს, მოგებას მიიღებს სახელმწიფო და საქართველო, როდესაც უფრო განათლებული თაობა და, შესაბამისად, უფრო ძლიერი ეკონომიკა, უფრო ძლიერი პოლიტიკა და უფრო ძლიერი მეცნიერება ექნება. ამ ყველაფრის ფონზე ვთხოვ ოპონენტებს, რომლებიც ძალიან ვიწრო სფეროში ოპერირებენ, როდესაც ამ საკითხებს აფასებენ, ცოტა ფართო კონტექსტში შეხედონ საკუთარ სასაცილო განცხადებებს“, – განაცხადა კახა არჩილ თალაკვაძემ.

გენერალური პროკურატურა მზად არის, ხაზარაძისგან ე.წ. მუქარის წერილის დედანი მიიღოს

გენერალური პროკურატურა მზად არის, მიიღოს „თიბისი ბანკის“ საქმეზე ბრალდებულის მამუკა ხაზარაძის მხრიდან წერილის დედანი, რომელსაც დაცვის მხარის ინფორმაციით, ლონდონში ექსპერტიზა ჩაუტარდა.

საუბარია იმ წერილის დედანზე, რომელიც მამუკა ხაზარაძის მტკიცებით, ყოფილი შს მინისტრის გიორგი გახარიას მხრიდან მუქარის სახით, შუამავლის მეშვეობით მიიღო. როგორც გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი გოგაძემ პროკურორთა კონფერენციაზე განაცხადა, ხაზარაძე წერილს საგამოძიებო უწყებაში „თუ მიიტანს, კარგი იქნება“. ამასთან, გოგაძე წინასწარ ვერ ამბობს, დაიწყება თუ არა ამ წერილზე გამოძიება.

„თემაზე გამოძიების დაწყების შესახებ წინასწარ ვერაფერს გამოვრიცხავ. თუკი საკმარისი, აუცილებელი ინფორმაცია იქნება გამოძიების დაწყებისთვის, ჩვენ კანონით ვალდებული ვართ, რომ ყველა თემაზე გამოძიება დავიწყოთ“, – განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

„წინაპართაგან მომდგამს, რომ კაცობისა და სიმართლის გზისთვის არ უნდა მეღალატა“...

ჭეშმარიტი მამულიშვილი: ბიზნესმენი, ფერმერი ელგუჯა ნოზაძე – 80

ყოველი ჩვენგანის პროფესიულ არჩევანს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ნიჭი, მიდრეკილება, ხასიათის თავისებურება, ოჯახური გარემო, აღზრდა, სკოლა... ნათქვამია, ყველა ადამიანს თავისი მთავარი მამოძრავებელი, მიზანმიმართული ძალა აქვს, რაზეც ხელს ვერავინ ვერ ააღებინებს. ბატონი ელგუჯა ნოზაძის ეს ძალა მოვალეობის გრძნობაა, რაც ცხოვრების გზაზე მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს თან ახლავს. ეს გზა კი, შრომისმოყვარე, ჭეშმარიტი ადამიანური ფასეულობების ერთგული მშობლების – სეით ნოზაძისა და მარიამის მიერ საძირკველჩაყრილი ოჯახიდან იღებს სათავეს.

საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩში დაბადებულმა ყმაწვილმა საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრა. არაჩვეულებრივი პედაგოგები საგნის გარდა ყმაწვილებს სიკეთის თესვას, მოყვასის თანადგომას, უფროსების პატივისცემას, ქვეყნის ერთგულებას ასწავლიდნენ. ოჯახსა და სკოლაში ნასწავლ-შესისხლხორცებული ფასეულობები, ჭეშმარიტებები და მოვალეობები ნიჭიერმა, მიზანსწრაფულმა და შრომისმოყვარე ჭაბუკმა ცხოვრების გზაზე საგზლად გაიყოლა. 1963 წელს, არმიიდან დაბრუნებისთანავე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. წარჩინებით კურსდამთავრებულმა 1968 წელს თბილისის მეტროპოლიტენში კავშირგაბმულობის სამსახურის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა.

უდავოა, დიდკაცობას კარგი კაცობა სჯობს, კარგ კაცობას კი – კარგი მამულიშვილობა. 1983 წელს, მაშინ, როცა თითქმის მთელ საქართველოში ბიზნესი და, კერძოდ, ფერმერობა ბევრისთვის უცხო ხილი გახლდათ, ბატონმა ელგუჯამ მუხრანის შესასვლელთან, ნაგავსაყრელზე მეფრინველეობის ფაბრიკა ააშენა და ამ საქმეში მთელი ენერგია, სული და გული ჩადო.

პროფესიონალი განსწავლულ, თავისი საქმის ღრმად მცოდნე, ერუდირებულ ადამიანს ნიშნავს, რომელმაც ყოველთვის იცის, რა მიზანი აქვს დასახული და რისთვის იღვწის. იცის, როგორ მიაღწიოს სასურველ შედეგს, შედეგს, რომელიც მოეთხოვება, როგორც პროფესიონალს. არადა, სწორედ ასეთი საქმიანი ადამიანების მხრებზე დგას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, ისინი ქვეყნის აღმშენებლობას ეწევიან და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მასაზრდოებლები არიან.

ელგუჯა ნოზაძემ არაერთი უძილო ღამისა და დიდი შრომის ფასად სასურველ წარმატებას მიაღწია, მკაცრ კონკურენციას გაუძლო და ქვეყანაში საუკეთესო პროდუქციის მწარმოებლის სახელი დაიმკვიდრა. საქართველოს შიდა ბაზარი ვერ აუდის „მუხრანული“ ქათმის რეალიზებას, რომელიც თავისი ხარისხითა და გემოთი პირველობას არავის უთმობს.

– ჩვენს საწარმოში გერმანული კომპანია TUV.SUD-ის მიერ დანერგილია ISO 22000 სტანდარტი, რაც მენეჯმენტის უახლეს სისტემასა და სურათის უვნებლობის HACCP სისტემას აერთიანებს. ამასთანავე, ჩვენი პროდუქცია ოფიციალურ ლიცენზირებულ ლაბორატორიაში მოწმდება და ქსელში ფრინველის ხორცის მიწოდება მხოლოდ ამის შემდეგ ხდება.

თითოეულ ობიექტზე ხარისხიანი და უვნებელი პროდუქციის მიწოდებაზე ჩვენ ვაგებთ პასუხს, ხოლო ფრინველის ხორცის შესაბამის პირობებში შენახვასა და მომხმარებლისთვის უვნებელი პროდუქციის მიწოდებაზე სავაჭრო ობიექტია პასუხისმგებელი. გარწმუნებთ, ისინი არასოდეს იღებენ დაზიანებულ პროდუქციას, ამასთან, მიღებისას ხდება პროდუქტის ვიზუალური შემოწმება და ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის გადაცემაც. თუ ეს ყველაფერი არადამაკმაყოფილებელია, პროდუქცია მომხმარებლამდე ვერ მიაღწევს, – გვითხრა ბატონმა ელგუჯამ.

...ღირსების ორდენის კავალერმა სწორედ ჩემი მეუღლის ერთგულებითა და ხელშეწყობით მივაღწიე ყველაფერ იმას, რაც დღეს, როგორც მეწარმესა და ჩემი ქვეყნის ერთ-ერთ რიგით მოქალაქეს, გამაჩნია“ – ამბობს ბატონი ელგუჯა.

მისი იმედი, ტრადიციების გამგრძელებელი, სილაღე და სისხლის ყივილი ექვსი შვილიშვილია – ელგუჯა (გუჯა) და გიორგი ნოზაძეები, ნანა და ირაკლი ჩიხლაძეები, კესო და ელენე გიორგაძეები.იმედი აქვს, შვილთაშვილები კიდევ შემემატებიანო...

რელიგიური აღმსარებლობით აღზრდილი ბატონი ელგუჯა მოყვასის თანამდგომი, ერთგული, მიმტევებელი, თავმდაბალი და თავაზიანია. ამ თვისებების ჩამოყალიბებაში მისი წინაპრების გენსა და ისტორიას ლომის წილი უდევს.

თურმე მისი წინაპარი – გიორგი ნოზაძე, რომელიც საჩხერის რაიონის სოფელ მოხვის მკვიდრი იყო, საუკუნის წინ ამავე რაიონის სოფელ ლიჩში ჩაასახლეს, რადგან ამ სოფლის ეკლესიას მღვდელი არ ჰყავდა. სამი საგლეხო მიწა და ტყეც მისცეს. ასე დასახლდა ბატონი ელგუჯას წინაპარი ძირულას ულამაზეს ხეობაში. მალე აქ საცხოვრებლად გიორგის ძმაც – ანტონ ნოზაძეც გადმოსულა. ისიც მღვდელი გახლდათ.

ძმების მიერ დათესილი სიკეთე და მოძმეთა თანადგომა ხეობაში დღესაც ახსოვთ და მათი საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ ხშირად საუბრობენ. ასევე, ძალიან ცნობილი ქალბატონი გახლდათ გიორგი ნოზაძის მეუღლე კესარია, რომელიც ცნობილი მკურნალი და მალამოების დამზადების ნამდვილი დიდოსტატი იყო. მის სასწაულმოქმედ წამლებს არაერთი უიმედო ავადმყოფისთვის დაუბრუნებია ჯანმრთელობა. მისი საქმიანობის შესახებ, ერთი მეტად საყურადღებო ფაქტია ცნობილი: თურმე, ხეობაში ტიფის ეპიდემია გავრცელებულა, ქალბატონ კესარიას ყველა ავადმყოფი გადაურჩენია, თუმცა, ეს სენი მასაც შეჰყრია. მართალია, საკუთარი წამლებით თავადაც განიკურნა, მაგრამ უეცრად გარდაცვლილა და წამლის დამზადების საიდუმლოც საფლავში წაუღია. გიორგის და კესარიას ცხრა შვილი ჰყავდათ. ერთერთი მათგანი, ბატონი ელგუჯას მამა სეითი სამამულო ომის ვეტერანი, კოლმეურნეობის ფინანსური განყოფილების გამგე და ძალზე აქტიური პიროვნება გახლდათ.

„დრო ძალიან მალე გავიდა... იცით, ჩემს ცხოვრებას თვალს დღევანდელი გადასახედიდან რომ გადავავლებ, რას ვფიქრობ? კავკასიონის მწვერვალები ხომ გინახავთ: ზოგი მაღალია, ზოგი – დაბალი. ჩემი ცხოვრებაც ასეა – სიმაღლეებიც იყო და ვარდნებიც, მაგრამ სავალი გზიდან არასოდეს გადამიხვევია. წინაპრებიდან მომდგამს, რომ კაცობისა და სიმართლის გზისთვის არ უნდა მეღალატა. ამას მასწავლიდა მამაჩემი, რომელიც ჩემთვის წინ გაძღოლილი მანათობელი კვარია. ჩემი ცხოვრების კრედო ქართული სულის ერთგულებაა! მსურს, გულით, აზროვნებით, ყოფიერებით სამშობლოს ვეკუთვნოდე და მისი სიდიადის მცირე კენჭი ვიყო ჩემი დიდო ოჯახით – მეუღლით, რომელსაც ვუძღვნი და ვუმადლი ყოველ წარმატებას, შვილებითა და შვილიშვილებით. ჩემი ოცნება რეალობის თანმხვედრია და ფრთებს ამიტომ ვასხამ. ჩემი ჰობი კი დიდი ხნის სიცოცხლეა, რათა საქართველოს ერთიანობას, აღორძინებასა და გაბრწყინებას მოვესწრო.

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ელგუჯა!

სიყვარულითა და პატივისცემით
მეგობრები, კოლეგები
და მუდამ
კეთილისმსურველები.

ჯანმრთელად, მრავალქამიერ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია მთელი გულით მიესალმება ჭეშმარიტ მამულიშვილს, ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურად გაძლიერებისა და გაღონიერებისთვის გარჯილ ერთ-ერთ დიდად წარმატებულ ბიზნესმენს, ფრიად ხელხვავიან ფერმერს, ბატონ ელგუჯა ნოზაძეს თავისი სახელოვანი იუბილეს დღეებში. როგორც წერილში სამართლიანად არის აღნიშნული, სწორედ ასეთი საქმიანი მამულიშვილების მხრებზე დგას საქართველოს ეკონომიკა და სახელმწიფოებრიობა, ისინი მართლაც დაუღალავად ეწევიან ქვეყნის აღმშენებლობას და სახელმწიფო ბიუჯეტსაც ძირითადად ისინი ასაზრდოებენ.

მადლობა, ბატონო ელგუჯა, თქვენი საქვეყნო გარჯისთვის. გვჯერა, საუკუნემდე დარჩენილ ორ ათეულ წელიწადსაც ასევე მხნედ მოღუნავთ და თქვენი ფერმის ყველაზე ყოჩაღი მამალი უკვე გვარიანად ღონიერ ქართულ ბიზნესში თქვენი სიცოცხლის ნიშნად ახალ საუკუნეშიც გადაიყივლებს!

გულწრფელი პატივისცემით
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
სარედაქციო კოლეგია

◎ ახალი წიგნები

არჩევანი არა ცუდსა და კარგს, არამედ ცუდსა და უარესს შორის!

საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა, როცა 1906 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ ამავე პერიოდს ეხება სულხან ბარათაშვილის (ბარატოვის) გამოკვლევა, სიმონ ესაძის ორტომეული (1907 წ.), სიმონ ავალიანის ოთხტომეული (1912-1020 წ.წ.), სერგის კაკაბაძის (1920 წ.) ნაშრომები.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის ნაშრომებით საფუძველი დაედო საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბებას. თუმცა იყო იშვიათი გამონაკლისები: გრიგოლ გიორგაძისა და გიორგი გოზალიშვილის პუბლიკაციები.

საქართველოს ისტორიის კვლევა დიდად არის დავალებული პაატა გუგუშვილისგან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას – (I ტომი, 1949 წ., მეორე ტომი – 1956 წ.).

დიდი შრომა გასწიეს გივი ჟორდანიამ, აბელ კიკვიძემ, ვარლამ დონაძემ, ირაკლი ანთელავამ, ალექსანდრე ბენდიანიშვილმა, კოტე ანთაძემ, პროკოფი რატიანმა, ოთარ ჟორდანიამ, ზურაბ პაპასკირმა, ჯემალ გამახარიამ, დიმიტრი შველიძემ, როლანდ თოფჩიშვილმა, გელა საითიძემ და სხვებმა.

საქართველოს ახალი ისტორია სრულყოფილად ვერ წარმოჩნდება საქართველოს ეკლესიის ისტორიის გარეშე. ეს მიმართულება გამოკვლეული აქვთ მიტროპოლიტ კირიონს (საძაგლიშვილი), მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს.

საქართველოს ახალი ისტორიის საუკუნოვან კვლევას ახალი ელფერი შესძინა პროფ. ვახტანგ გურულის ნაშრომებმა. 2017 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ვახტანგ გურულის „საქართველოს ახალი ისტორიის (1891-1918)“** პირველი ტომი, ვრცელი (647-გვერდიანი) ყოვლისმომცველი, დასურათებული გამოკვლევა, რომელიც მკითხველმა ინტერესით მიიღო.

ახლახან გამოიცა მისი გაგრძელება – II ტომი. წიგნს წამძღვარებული აქვს წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც წარმოაჩენს განხილული საკითხების შესწავლის მდგომარეობასაც. ავტორი სკრუპულოზურად აფასებს წყაროებსა და ლიტერატურას, რომლებიც უმთავრესად მიუჩნევია.

ნაშრომი იწყება XIX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულითა და 60-იანი წლების დამდეგით (თავი „ქართველი საზოგადოების საფიქრალი“) და მთავრდება XIX საუკუნის დასასრულით – საქართველო XIX საუკუნის ბოლოს სტატისტიკური მასალების მიხედვით. როგორც ავტორი ამბობს, ამ წიგნის დაწერა შესაძლებელი გაუხდია ისტორიულ მემკვიდრეობას, მოძიებულ საარქივო მასალებთან ერთად.



ბატონი ვახტანგ გურული დიდძალი თვალსაჩინო მასალის მომარჯვებით გვაცნობს საქართველოს სამღვდელოებას ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის 20-90 წლები), სოციალურ მოძრაობას საქართველოში 50-60-იან წლებში, ბატონყმობის გაუქმებას, უცხოტომელთა მიგრაციას, XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებს, 60-90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას და ქართული ეროვნული მოძრაობის დაშლას მიმდინარეობებად, ნაროდნიკულ მოძრაობას, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისს: „მესამე დასს“, განათლებას XIX საუკუნის საქართველოში, XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებს და ქართულ წიგნს, თეატრს...

გამოკვლევას ახლავს დანართები, სახელთა საძიებელი.

საქართველოს ახალი ისტორია 4 ტომად არის ჩაფიქრებული. III ტომს მალე მიიღებს მკითხველი.

ვახტანგ გურული ხელხვავიანი მკვლევარია. ქართულ, რუსულ, პოლონურ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 98 წიგნი (44 მონოგრაფია, 19 დოკუმენტების და მასალების კრებული, 35 სახელმძღვანელო).

საქართველოს „ახალი ისტორიის“ II ტომის პარალელურად ახლახანვე გამოიცა ვ. გურულის **„ერეკლე მეფე და რუსეთი“**. მონოგრაფიაში გაშუქებულია ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების წინა ხანებიდან ერეკლე II-ის გარდაცვალებამდე 1798 წ. ნაშრომი ემყარება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ შემონახულ დოკუმენტებსა და მასალებს, ქართველი და რუსი ისტორიკოსების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს.

ქართველ ერს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება დიდ იმპერიებთან ბრძოლაში უხდებოდა. ირანისა და ოსმალეთის სწრაფვა კავკასიის რეგიონში განმტკიცებისთვის სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს საფრთხე განსაკუთრებით გაძლებდა მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის დამდეგიდან რეგიონში დამკვიდრებაზე პრეტენზია რუსეთმაც განაცხადა. აშკარა გახდა, ქართული სამეფო-სამთავროები თავს მარტო ვერ დაიცავდნენ, აუცილებელი გახდა სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის პოვნა. მოკავშირე სამ დამპყრობელს – ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის უნდა ამოერჩიათ. არჩევანი უნდა გაკეთებულიყო არა ცუდსა და კარგს შორის, არამედ ცუდსა და უარესს შორის. ერეკლე II-ეს წარმოუდგენლად მძიმე ვითარებაში უხდებოდა გადაწყვეტილების მიღება და მან რუსეთის იმპერიის შესვლა გადაწყვიტა და 1783 წელს მფარველობის ხელშეკრულება – გეორგიევსკის ტრაქტატი დადო. ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან გარდაცვალებამდე – 1798 წლამდე ყოველ ღონეს მიმართავდა, რათა რუსეთიდან რეალური მფარველობა მიეღო, მაგრამ ამაოდ. დაუსრულებელი მოლოდინით დაღლილი, იმედგაცრუებული მეფე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სამეფოს ხსნის გზა ვერ იპოვა.

გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა: სულ მალე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა რუსეთის იმპერიის აღმასავლურმა პოლიტიკამ. კერძოდ, ურთიერთობამ ოსმალეთსა და ირანთან. შეცვლილ ვითარებაში რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში აქტიურ მოქმედებაზე უარი თქვა და ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფო დაუცველი დარჩა. ტრაქტატმა მუსლიმური სამყაროს გაღიზიანება გამოიწვია, ხოლო რუსეთისგან მიტოვებული ქართლ-კახეთის სამეფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამას მოჰყვა კრწანისის ტრაგედია 1795 წელს და რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის მიერთება 1801 წელს, ხოლო იმერეთისა – 1810 წელს.

ავტორი საგანგებოდ განიხილავს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების მცდელობას – მითსა და სინამდვილეს. ეს მოვლენა (1790 წ.). ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ივერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატს. ოღონდ ამ მცდელობის შესახებ მეტ-ნაკლებად სრული და სანდო წყარო არ მოგვეპოვება. ერთადერთია პლატონ იოსელიანის ნაშრომი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. სხვადასხვა მოსაზრებათა საპირისპიროდ, სადაც უმთავრესად ერეკლეს ადანაშაულებენ, ავტორი დაასკვნის: ოსმალეთი არ დაუშვებდა ქართულ სამეფოთა გაერთიანებას, არც რუსეთი მისცემდა ერეკლეს იმის უფლებას, რომ იმერეთის სამეფოს შეერთების გამო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დაეძაბა.

ასეთი მართებული დასკვნები წიგნში უხვად არის, ამიტომაა ეს ნაშრომი ღირებული და საინტერესო.

სანდრო ალექსიძე

მიხეილ ბატიაშვილი სომხეთის განათლების მინისტრს შეხვდა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი ერევანში სომხეთის განათლების მინისტრ არაიკ ჰარუთიუნიანს შეხვდა.

მიხეილ ბატიაშვილმა და არაიკ ჰარუთიუნიანმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები და მიმდინარე რეფორმები განიხილეს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემების შესახებ ისაუბრეს და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

მიხეილ ბატიაშვილმა არაიკ ჰარუთიუნიანს ზოგადი განათლების მიმართულებით ბოლო დროს გატარებული რეფორმის შედეგები გააცნო, რომლებიც სკოლებში ახალი პედაგოგების შესვლას, პედაგოგთა ხელფასების გაზრდასა და სისტემიდან საპენსიო ასაკის პედაგოგების ღირსეულ გასვლას უკავშირდება.

შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა უმაღლესი განათლების კუთხით მიღწეულ შედეგებზეც, რაც ქართულ განათლების სისტემას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო აახლოებს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნებს შორის განათლების კუთხით თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

ხაჭაპურის ფესტივალი რუხში

19 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში ხაჭაპურის ფესტივალი გაიმართება. ხაჭაპურის ფესტივალი წარმოადგენს ახალ ტურისტულ პროდუქტს, რომელიც საქართველოს გასტრონომიული კულტურისა და ხაჭაპურის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერძის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ქართული გასტრონომიის ეს დღესასწაული სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ, საქართველოში USAID-ის „ზრდა“ პროექტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, რუხის სავაჭრო ცენტრისა და საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართება.



„ხაჭაპურის კონკურსში“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 37 მოყვარული და პროფესიონალი მზარეული მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იქნება ცნობილი შეფ-მზარეულების მასტერ-კლასები.

ფესტივალი ასევე მოიცავს რეგიონების მიხედვით ხაჭაპურის სხვადასხვა სახეობის მომზადების კონკურსს – ხალხის რჩეული მცხობელის, ფესტივალის საუკეთესო ხაჭაპურის, ყველაზე ინოვაციური და ორიგინალური ხაჭაპურისა თუ სხვა ნომინაციების გამარჯვებულთა გამოსავლენად.

რა გვამერიკელებოდა, კოლუმბო!..

ამერიკის ზოგ შტატში კოლუმბის დღე გააუქმეს

ორშაბათს შეერთებულ შტატებში ფედერალური უქმე დღე იყო, რომელიც კოლუმბის დღის სახელით არის ცნობილი. ამ დღესასწაულის აღნიშვნას ბოლო დროს წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. ამერიკელების ნაწილი ქრისტეფორე კოლუმბს გმირ იტალიელად აღარ მიიჩნევს და კოლონიზატორების მიერ ამერიკის კონტინენტზე ჩადენილ ძალადობის ფაქტებს აპროტესტებს.

წელსაც ეს დღე განსხვავებულად აღინიშნა. მანჰეტენის მეხუთე ავენიუზე, კოლუმბის დღეს ათეულათასობით ნიუიორკელი და ტურისტი შეუერთდა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს იტალიურ-ამერიკულ სანახაობას. იმავდროულად, რამდენიმე შტატში და მუნიციპალიტეტში პირველად ისტორიაში ეს დღესასწაული სრულიად გააუქმეს.

იტალიელი მოგზაურის სახელობის დღესასწაული, რომელმაც 1492 წელს ამერიკა აღმოაჩინა, შეურაცხმყოფელია ბევრი სწავლულისთვის და მკვიდრი ამერიკელისთვის, რომლებიც ამ მიწაზე მის მოსვლამდე ათასობით წლით ადრე დასახლდნენ.

კოლუმბის დღის, როგორც დღესასწაულის აღნიშვნა 1886 წელს ნიუ-იორკში დაიწყო და ის შეერთებულ შტატებში მცხოვრები, ახლა უკვე 17 მილიონი იტალიელ-ამერიკელის მემკვიდრეობას და წვლილს პატივს მიაგებდა. ერთი საუკუნით გვიან კი დაიწყო „აბორიგენი ხალხის დღის“ მოძრაობა. ეს მკვიდრი ამერიკელების ინიციატივა იყო, რომელსაც საფუძველი 1977 წელს ჩაეყარა.

გაეროს სპონსორობით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულმა რეზოლუციამ, რომელიც ამერიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციას ეძღვნებოდა, გზა გაუკვალა ისეთ ქალაქებს, როგორიცაა კალიფორნიის შტატის ქალაქი ბერკლი, რათა 15 წლის შემდეგ ეს დღესასწაული ოფიციალურად ჩაენაცვლებინათ.

ამის მიუხედავად, ყოველწლიური „კოლუმბის დღის“ 75-ე ზეიმის ორგანიზატორებისთვის, იტალიელი მკვლევარი ქრისტეფორე კოლუმბი ზეიმისთვის ღირებულად რჩება.

აღლუმის თავმჯდომარე ალდო ვერელი, კოლუმბის მოქალაქეების ფონდიდან ამბობს: **„კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, კოლუმბი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, დღეს სად ვიქნებოდით. მოდი, გვახსოვდეს იმ ხალხმა იმ დროს რაც კარგი გააკეთა და ყველა სხვა საკამათო რამ დავივიწყოთ.“**

დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ეს სენტიმენტი იწვევდა ამერიკელების დაყოფას: პატივი ეცათ ტრადიციისთვის, თუ ისტორია ჩაესწორებინათ და წარსული შეეცვალათ.

დემოკრატმა კონგრესმენმა ნიუ-მექსიკოდან დებ ჰაალანდმა „ამერიკის ხმას“ უთხრა, „ევროპელებმა ჩვენი გაწყვეტა სცადეს, მათ დაავადება შემოიტანეს და როდესაც შეერთებული შტატების მთავრობა რეალურ ძალად იქცა, რეზერვაციებში შეგვყარეს.“

1992 წელს ბერკლის გადაწყვეტილების შემდეგ, დღესასწაულისთვის სახელი შეეცვალათ, მის მაგალითს 130-მა ქალაქმა მიბაძა. რამდენიმე შტატის, მათ შორის მინესოტის, ალასკის, ვერმონტის, ორეგონის და სამხრეთ დაკოტის შემდეგ, ნიუ-მექსიკო გახდა ბოლო შტატი, რომელმაც „კოლუმბის დღეს“ სახელი იურიდიულად შეუცვალა და 2019 წელს აბორიგენი ხალხის დღე პირველად აღნიშნა.

შეერთებული შტატების კონგრესში არჩეული პირველი ორი მკვიდრი ამერიკელი ქალიდან ერთი, „ლაგუნა პუებლოს“ წევრი ჰაალანდი თავის მისიად „ისტორიის შესწორებას“ და ამერიკის აბორიგენი ხალხების გამძლეობის, ეროვნული მასშტაბით პატივის მიგებას მიიჩნევს.

ის იყო თანასპონსორი ეროვნული რეზოლუციისა, რომელიც ოქტომბრის მეორე ორშაბათს „აბორიგენი ხალხის დღედ“ აცხადებს. ის ამბობს, რომ ამჟამად ქვეყანაში 573 ტომი ცხოვრობს და ეს კარგი საშუალებაა, მათი მრავალფეროვნება ვიზეიმოთ და ასევე ვაღიაროთ სხვა აბორიგენი ხალხები, რომლებიც ამ ქვეყანაში მოდიან და ვაგრძნობინოთ, რომ ადგილი მათთვისაც არის.

ჰაალანდი ამბობს, რომ ამერიკა „აღმოსაჩენი“ არ იყო და ეს „არასწორი“ განმარტება პირდაპირ ეწინააღმდეგება ათწლეულების წინ დაბეჭდილ ამერიკის ისტორიის სახელმძღვანელოებს და იმ ადამიანებს, რომლების ქრისტეფორე კოლუმბის მემკვიდრეობას იცავენ.

რეჯის პეკოსი, კოჩიტი პუებლოს ყოფილი გუბერნატორი, ამბობს, რომ ამ ადამიანებისთვის სიმართლის აღიარება ძალაუფლების გადაბარების ტოლფასია და უმცირესობის მიერ ძალაუფლების დაკარგვას ნიშნავს. შტატის დედაქალაქ სანტა-ფეში გამართული ფესტივალის მონაწილეები ამბობენ, რომ აბორიგენი ხალხის დღეს პროგრესი აქვს.

ფესტივალის მონაწილე სილვია სიანი ამბობს: **„ისტორიას ყოველთვის გამარჯვებულები წერენ და ახლა მოვიდა თაობა, რომელიც ფიქრს იწყებს იმაზე, რომ რაც ადრე სიმართლედ მიგვაჩნდა, ახლა არასწორია“.**

ნიუ-იორკში გამართული კოლუმბის დღის აღლუმის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ ეს ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს.

„ვისაც კოლუმბისადმი პატივისცემის გამოხატვა სურს, მათ ეს დღე უნდა შეინარჩუნონ, მაგრამ ვისაც მათი პატივისცემა სურს, ვინც აქ ჩვენამდე ცხოვრობდა, როგორიცაა ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა, თუ მათ პატივს მიაგებენ, ესეც მისაღებია“, — ამბობს ნიუიორკელი ჰეთერ ფითსროი.

ქურთებმა ზავის პირობები წამოაყენეს

ქურთი მებრძოლები ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდნენ, თუმცა რამდენიმე პირობით. როგორც „სირიის დემოკრატიული ძალების“ წარმომადგენლები აცხადებენ, შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლებში დაბრუნებას და უნდა გამორიცხავდეს „რეგიონში დემოგრაფიულ ცვლილებებს“.

როგორც „სირიის დემოკრატიული ძალების“ მეთაურმა მასუდ აბდიმ ქურთულ ტელეარხ „რონაჰის“ ეთერში განაცხადა, „ქურთები გააკეთებენ ყველაფერს, რომ ზავი წარმატებული იყოს.“

მანამდე საკუთარი პირობები წამოაყენა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მევლუთ ჩავუშოღლის თქმით, ანკარამ ოპერაცია უბრალოდ შეაჩერა იმისთვის, რომ სირიელი ქურთების თავდაცვითმა ძალებმა „უსაფრთხოების ზონა“ დატოვონ. მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში, თურქეთი სამხედრო ოპერაციას სრულად შეწყვეტს.

ევროკავშირი თურქეთს აფრთხილებს

ევროკავშირი თურქეთს სირიაში სამხედრო ოპერაციის სრულად შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ნათქვამია ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ერთობლივ განცხადებაში.

ლიდერებმა ერთობლივი განცხადება მას შემდეგ გააკეთეს, რაც ოპერაცია „მშვიდობის წყაროს“ ხუთი დღით შეწყვეტის შესახებ გახდა ცნობილი.

ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ლიდერების ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ თურქეთის სამხედრო ძალების მხრიდან ქურთ მებრძოლებზე თავდასხმა ყოვლად დაუშვებელ ჰუმანიტარულ პრობლემებს იწვევს. თურქეთის სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას აფერხებს, ეს კი, ევროპის უსაფრთხოებას რისკის წინაშე აყენებს.

კარლეს პუჩდემონი ბელგიის პოლიციას ჩაბარდა

კატალონიის ყოფილი ლიდერი კარლეს პუჩდემონი ბელგიის პოლიციას ჩაბარდა. იგი ბრიუსელში, ფედერალური პოლიციის სამმართველოში თავისი ნებით მივიდა.

სამართალდამცველები პუჩდემონს დაჰკითხავენ, შემდეგ კი საქმე სასამართლოს გადაეცემა. სასამართლო პუჩდემონს ესპანეთის მიერ მასზე გაცემული ორდერის შესახებ შეატყობინებს, შემდეგ კი კატალონიის ყოფილ ლიდერს ან ექსტრადირებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე დააპატიმრებენ, ან გაათავისუფლებენ, როგორც ეს ორი წლის წინ მოხდა. საპროტესტო აქციები რეგიონში 14 ოქტომბერს დაიწყო, მას შემდეგ რაც ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ კატალონიელ ლიდერებს ამბოხისთვის 9-დან 13 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა, ასევე კატალონიის ყოფილი ლიდერის კარლეს პუჩდემონის დაკავების საერთაშორისო და ევროპული ორდერები გასცა.

ამერიკამ უკრაინას სამხედრო დახმარება შეუჩერა

აშშ-მა უკრაინის სამხედრო დახმარება კორუფციის შესაძლო შემთხვევებისა და სხვა ქვეყნების მხრიდან მხარდაჭერის არარსებობის გამო შეაჩერა. ამის შესახებ თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მიკ მალვეინიმ განაცხადა. მისი თქმით, მედიამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა მის სიტყვებს, თითქოსდა დახმარების შეჩერება 2016 წელს დემოკრატიული პარტიის სერვერების გატეხის გამო შესაძლო გამოძიებას უკავშირდება. „მეიის მხრიდან ასეთი ქმედების მიზეზი პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლაა. ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ დახმარება შევაჩერეთ, სხვა ქვეყნების მხრიდან მხარდაჭერის არარსებობა და კორუფციასთან დაკავშირებული ინფორმაცია იყო“, — განაცხადა მალვეინიმ.

24 სექტემბერს ტრამპმა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების შეჩერების ბრძანება გასცა. მანამდე აშშ-მა უკრაინას სამხედრო დახმარების სახით 250 მილიონი დოლარი გამოუყო.

რუსეთის ეკლესია საბერძნეთის ეკლესიასთან ურთიერთობას შეწყვეტს

საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა. გადაწყვეტილება სინოდის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად მიიღეს. 2018 წლის ნოემბრის ბოლოს კონსტანტინეპოლმა უკრაინაში ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ტომოსის ტექსტი დაამტკიცა.

გადაწყვეტილება სტამბოლში გამართული მსოფლიო საპატრიარქოს სინოდის სხდომაზე მიიღეს. საპასუხოდ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მსოფლიო პატრიარქთან ურთიერთობა შეწყვიტა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესაძლებლობას მართლმადიდებელ სამყაროში დაპირისპირება მოჰყვა.

15 ოქტომბერს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა. მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიის აღიარების ტომოსი 6 იანვარს გადასცა.

სამიტი გოლფის მოედანზე

დიდი შვიდიანის სამიტი ფლორიდაში, დონალდ ტრამპის გოლფის კურორტზე გაიმართება. თეთრი სახლის განცხადებაზე დაყრდნობით. თეთრ სახლში აცხადებენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ამ ღონისძიებიდან ფინანსურ სარგებელს არ მიიღებს.

კურორტი მაიამის აეროპორტიდან 13 კილომეტრში მდებარეობს. სამიტი კანადის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრინატენის, აშშ-ის და ევროკავშირის მონაწილეობით, მომავალი წლის 10-12 ივნისს ჩატარდება.

ტრამპი ისტორიაში მოიკოჭლებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში იტალიის პრეზიდენტ სერჯო მატარელასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ორ ქვეყანას კულტურული კავშირები „ანტიკური რომიდან“ აქვს. ტრამპის ეს სიტყვები მოგვიანებით თეთრი სახლის ოფიციალურ ტვიტერის გვერდზე გამოქვეყნდა.

„შეერთებულ შტატებსა და იტალიას აკავშირებთ კულტურული და პოლიტიკური ღირებულებები, რომელიც სათავეს იღებს ათასწლეულების წინ, ანტიკური რომიდან“, — თქვა ტრამპმა.

ტრამპის მიერ წარმოთქმულ ისტორიულ გაუგებრობას სოციალური ქსელების მომხმარებელთა მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა.

ევროკავშირი თურქეთისთვის სანქციების დაწესებას გეგმავს

ევროკავშირი კვიპროსის სანაპიროსთან თურქეთის მიერ უკანონო ბურღვითი ოპერაციების გამო ანკარასთვის სანქციების დაწესებას გეგმავს.

„ევროკავშირი ადასტურებს ევროკავშირის საბჭოს დასკვნას თურქეთის მიერ უკანონო ბურღვით საქმიანობაზე კვიპროსის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და უდასტურებს სოლიდარობას კვიპროსს,“ — ნათქვამია ევროკავშირის განცხადებაში. თურქეთმა საბურღი სისტემით აღჭურვილი ხომალდი დაზვერვითი სამუშაოებისთვის კვიპროსის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლებში ცოტა ხნის წინ გაგზავნა. ამ ნაბიჯს კვიპროსის ხელისუფლების მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

◎ ფრთხილად, სატყუარაზე არ წამოეგოთ!

თვალებს ვერ დაამუხრუჭებ...

არ არის ნორმალური, როდესაც ლამისაა ყოველდღე რომელიღაც ქალი საზოგადოებისთვის ცნობილ მამაკაცს სექსუალური ძალადობის მცდელობაში ადანაშაულებს. სამწუხაროდ, უკვე ბევრი ქალი დაარწმუნეს, რომ მამაკაცებს არ უნდა დაემორჩილონ, უნდა შეეწინააღმდეგონ, ყოველ სიტყვაში უნდა ჩაუსაფრთდნენ, არ უნდა მისცენ ქალთა „შევიწროების“ უფლება და ასე შემდეგ..

გაზეთებიდან:

იმ დღისით შემოდგომის თბილი, მზიანი ამინდი იდგა და ბაღში გასეირნება გადავწყვიტე. ის იყო სკამზე ჩამოჯდომა დავაპირე, რომ ჩემ გვერდით ძველი ნაცნობი გერონტი შალამბერიძე გაიჩითა.

— ძამიკო, — ვეუბნები, — ჩემი არ იყოს, ასაკი წამოგეძალა, მაგრამ არაფერი გემჩნევა, მშვენივრად გამოიყურები.

— ჰო, მშვენივრად, — შეიშმუშნა გერონტი, — ამას წინათ, ერთ ტელეშოუში მომღერალი ვახტანგ ტატიშვილიც ასე შეამკეს, ხანდაზმულობისა არაფერი გეტყობათო. იმან, როგორც იცის, ჩაიღიმილ-ჩაიქირქილა: ასაკი რაზეც მეტყობა, ის არა ჩანსო და...

— და საკუთარი თავი გაგახსენდა, ჩემო გერონტი, არა?

— ჰო, რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა სექსუალური ფოთოლცვენის დაუწერელი კანონი. ერთადერთი თვალებიღა დარჩა, რითაც შეიძლება დატკბე ლამაზი ქალის დანახვისას და, როგორც ჩანს, ამის აკრძალვასაც გვიპირებენ.

— აკრძალვას? — შევიცხადე.

— ჰო, აკრძალვას... შენ რა, ტელევიზორს არ უყურებ? დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ფსევდოლიბერალებმა იმდენი იძალავეს, რომ კანონში ჩააწერინეს...

— რა ჩააწერინეს? — შევაწყვეტინე.

— რა და, ჩემო ბატონო, ქალს თუ დაჟინებით მიაცქერდები, შეიძლება, გიჩივლოს და სექსუალური შევიწროებისთვის პასუხი გაგებინოს. ახლა ჩვენებური ლიბერასტებიც ამის მისაღწევად იბრძვიან.

— შენც ნუ მიაცქერდები ძმაო, — ჭკუას ვასწავლი, — ისე, სასხვათაშორისოდ შეავლე თვალი და მაგით დაკმაყოფილდი.

— შენც ლაპარაკობ, რა! — იწყინა გერონტიმ, — ვითომ არ იცოდე ამ ოღრაში თვალების ამბავი, ლამაზ ქალს რომ დაინახავენ, ჩემ დაუკითხავად ეგრევე მიაშტერდებიან. ვერც გაამტყუნებ, ახლანდელი ქალები ისე არიან მოშიშვლებულნი (ზოგს დუნდულებიც კი უჩანს), რომ თვალებს ვერაფრით დაამუხრუჭებ.

— გინდა თქვა, რომ ქალები, პირიქით, სექსუალურად აქეთ გვავიწროებენ?

— ეგრეც არის. ამის თაობაზე ტელეეთერით ღიად და დაუფარავად განაცხადა კიდეც გივი სიხარულიძემ.

— რომელმა, კაცო, მსახიობმა, მწერალმა, მოცეკვავემ, ყველაფრის მცოდნემ?

— ჰო, მაგან... მიშველეთ, დამეხმარეთ, მთელი ცხოვრება მავიწროებენ ეს უღმერთო ქალები და მშველელი არავინ გამოჩნდაო. იქნებ ახლა კანონი მაინც დამეხმაროს მათი სექსუალური ძალადობისგან თავის დაღწევაშიო.

— მერე, არ შეგეცოდა?

— შემეცოდა, როგორ არ შემეცოდა, მაგრამ ლალი მოროშკინამ ისეთი რამე თქვა, გივის საცოდაობას ერთბაშად ცივი წყალი გადაასხა.

— რაო, ეგეთი რა ბრალდება წაუყენა?

— პირადად მას კი არა, საერთოდ, ქართველ კაცებს წაუყენა: ბღლარძუნები არიანო, ქალი თუ დაიმარტოხელეს ოთახში, ლიფტში, მანქანაში, მაშინვე ბღლარძუნზე გადადიანო.

— ისე, სადღაც მართალი კი უთქვამს, — ახალგაზრდობაში მეც მყავდა ერთი მეგობარი, ბენიტოს ვეძახდით (შესახედად ბენიტო მუსოლინს ჰგავდა, იმას ლიფტში ქალი ვერ დაემგზავრებოდა, ეგრევე ებდღვნებოდა.

— მაგისთანებს კი უნდა ებრძოლოს კანონმა, მაგრამ ჩემისთანებს რას ერჩიან? — დაიწუწუნა გერონტიმ, — ერთი თვალებიღა შემრჩა ქალების საყურებლად და ესეც თუ ამიკრძალეს, ჩემს კაცობას რაღა ფასი აქვს?

— ნუ გეშინია, — გავამხნევე გერონტი, — ქალებს მაინცდამაინც ნუ მიაშტერდები და ისე შიგადაშიგ თვალს თუ შეაპარებ, ამისთვის ჩემოს ძმაო, ბუზსაც ვერავინ აგიფრენს.

გერონტი კი დავამშვიდე, მაგრამ ერთი შეხედვით ამ ვითომ უმტკივნეულო საკითხზე ფიქრმა თავი მაინც არ დამანება. ერთი ჩემი მეზობელი ოჯახის ამბავი გამახსენდა, ახალგაზრდა ქალმა ქმარს პოლიციაში უჩივლა — მამა შვილებს უხეშად ექცევა, თავისუფალი მოქმედების უფლებას არ აძლევს და ბავშვები მეჩაგრებიანო. არადა, კაცს საამისო არაფერი ჩაუდენია, მეოთხეკლასელ შვილს ხელიდან სიგარეტი წაჰგლიჯა და გააფრთხილა, ეს სისაძაგლე მეორედ აღარ შეგნიშნო, თორემ მკაცრად დაგსჯიო... სულ ეს იყო მამის დანაშაული.



ჩვენს კეთილმოსურნე ლიბერასტებსაც სწორედ ეს უნდათ. თუკი ქალები და მამაკაცები ერთმანეთს შეიძულებენ, თუ მათი მთავარი საქმე ერთმანეთის ქიშპობა და ჯიბრში დგომა იქნება, სრულფასოვანი საზოგადოებაც აღარ შედგება, ძველი, მამაპაპური ტრადიციები დაიკარგება და ოჯახები დასაღუპად გაიწირება.

ნუ ავყვებით ასეთ ცდუნებას!

ოთარ ხუციშვილი

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით გოგოტიშვილის, ალექსანდრე გოგოტიშვილის და ელენა მურვანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** დავით გოგოტიშვილი (პ/ნ 33001021602), ოზურგეთი, ს. დვაბზუ, მე-3 1 ჩიხი №2;

1.1 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, ს. დვაბზუ (საკადასტრო კოდი: 26.19.18.057).

1.2 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, ს. დვაბზუ (საკადასტრო კოდი: 26.19.18.012).

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალექსანდრე გოგოტიშვილი (პ/ნ 33001039774), ოზურგეთი, ს. დვაბზუ

2.1 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, ს. დვაბზუ (საკადასტრო კოდი: 26.19.17.024).

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელენა მურვანიძე (პ/ნ 33001017641), ოზურგეთი, თ. ბოლქვაძის ქ. 15, ბინა №18.

3.1 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, ბოლქვაძის ქ. 15, სართული 3, ბინა №18 (საკადასტრო კოდი: 26.26.46.006.01.018).

4. **უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

5. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 596564.30 ლარი დღგ-ის ჩათვლით. მათ შორის:

5.1 აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის მომსახურების საფასური შეადგენს 22944.78 ლარს დღგ-ის ჩათვლით;

5.2 დღგ-ით დასაბეგრი სარეალიზაციო უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 26.19.18.057) ხვედრითი დღგ შეადგენს 68966.56 ლარს;

5.3 დღგ-ით დასაბეგრი სარეალიზაციო უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 26.19.17.024) ხვედრითი დღგ შეადგენს 8620.82 ლარს.

6. **აუქციონის დაწყების დრო:** 2019 წლის 31 ოქტომბერი, 12:00 საათი;

7. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;

8. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

9. **მოვალე:** დავით გოგოტიშვილი (პ/ნ 33001021602), ოზურგეთი, ს. დვაბზუ, მე-3 1 ჩიხი №2;
ალექსანდრე გოგოტიშვილი (პ/ნ 33001039774), ოზურგეთი, ს. დვაბზუ;
ელენა მურვანიძე (პ/ნ 33001017641), ოზურგეთი, თ. ბოლქვაძის ქ. 15, ბინა №18;
ეკა მურვანიძე (პ/ნ 33001003928), ოზურგეთი, ს. დვაბზუ.

10. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;

11. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 31 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

◎ „ძუ იყოს, თუნდა ხვადია“...

„ეთერის არია მარაკეშიც აჟღერდა“

ქართულ სპორტში კიდევ ერთი ვაკუუმი ამოივსო — 57 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ეთერ ლიპარტელიანი პირველი ჩვენი თანამემამულეა, ვინც ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს ისტორიული მოვლენა მარაკეშის ტატამზე მოხდა.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას — აღნიშნული ფაქტის გამო აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს, რადგან „ჯვაროსანმა“ ჯერ მხოლოდ თანატოლთა ახალგაზრდული ფორუმი დაასრულა ტრიუმფითო, მაგრამ მათ ვუპასუხებთ: პირიქით, ამ წარმატებას ხიბლს სწორედ უნიჭიერესი „ჯვაროსანი“ გოგონას ნორჩი ასაკი ჰმატებს, რომელიც, პერსპექტივის გათვალისწინებით, მომავალშიც არაერთ სიხარულს გვიქადის.

და ბოლოს: ქართველ ქომაგებს ამბიციურობისა და ოპტიმიზმის საფუძველს სეზონის შთამბეჭდავი დუბლის ავტორის (ერთი თვის წინათ იგი ევროპის ჩემპიონიც გახდა) მიერ მოგებული ბრძოლები გვაძლევს. დიახ, ამ ერთი შეხედვით ბევრისგან არაფრით გამორჩეულმა, მაგრამ ფიზიკურად ბრწყინვალედ მომზადებულმა სვანმა ტალანტმა ხუთივე მეტოქე იპონებით დაამარცხა: ანდრეა კარმანი (უნგრეთი), კაია კაიზერი (სლოვენია), შენონ ვან დე მეებერგი (ჰოლანდია), მიმი ჰუჰი (კორეა) და კანაკო ჰაკამატა (იაპონია). დაგვეთანხმებით, ღირსეულთა თანავარსკვლავედია.

აქვე შეგახსენებთ, რომ უწინ მსგავსი მიღწევით სამბისტმა ნინო ოძელაშვილმა გვასახელა.

ასე რომ, ლეკვი ლომისა მართლაც რომ სწორია, მათ შორის — რუსთაველის სამშობლოშიც.

კობა კობახიძე

◎ ევროლიგა

შესანიშნავი შენგელია, ფანტასტიკური დე კოლო

ევროლიგაში ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“, რომელსაც აშკარად ცუდი პერიოდი უდგას. ესპანური გუნდი ლიგა ენდესაშიც წარუმატებლად ირჯება და ვერც ევროლიგაში ეთამაშება ვარსკვლავებს

ბასკებმა ამჯერად სტამბოლში „ფენერბახჩესთან“ ვერ გააწყვეს ვერაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა იყო, „ფენერი“ უფრო ძლიერი გამოდგა — 87:80. არაფერი დაეწუნებოდა თორნიკე შენგელიას, რომელიც თავის გუნდში უდავოდ გამორჩეული გახლდათ. ქართველმა კაპიტანმა 24 წუთში 18 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. შენგელიამ 6-დან 6 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო და სამიდან ერთი სამქულიანი ჩააგდო.

ჩვენებურის მარგი ქმედების კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა. ნიშანდობლივია, რომ ეს ვიტორიელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო, ისევე როგორც მის მიერ ჩაგდებული 18 ქულა.

საერთოდაც, თორნიკე უსათუოდ მატჩის MVP გახდებოდა, რომ არა „ფენერბახჩეს“ ფრანგ ლეგიონერ ნანდო დე კოლოს ფანტასტიკური გარჯა. მან მართლაც დიდებული შეხვედრა ჩაატარა და 31 წუთში 39(!) ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. დე კოლომ 15-დან 12 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და 7-დან 6 ჯარიმა ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტმა 44(!) შეადგინა. თორნიკე სწორედ მხოლოდ ნანდოს ჩამორჩა როგორც ქულების, ისე სარგებლიანობის მაჩვენებლით.

სხვათა შორის, თურქული გუნდის რიგებში, დე კოლოს გარდა, საუკეთესო შედეგი ლუიჯი დატომეს ჰქონდა - ოდენ 8 ქულა... შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბასკონია“ უფრო დე კოლოსთან დამარცხდა, ვიდრე „ფენერბახჩესთან“. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ წევრ მეტ ჯენინგს, პარკეტზე 21 წუთი დაჰყო და 6 ქულასთან ერთად 2 მოხსნა და 1 პასი შეაშველა პარტნიორებს

„ბასკონიას“ ევროლიგაში სამი ტურის თავზე მოგებითა და ორი წაგებით მე-13 ადგილი უკავია, ხოლო მომდევნო ტურში 25 ოქტომბერს პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

„ბათუმი“ - ორგზის!

საქართველოს თასის მფლობელი **მეორედ გახდა ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“, რომელმაც ფინალში 27:20 დაამარცხა სახელბურთო კლუბი „ქუთაისი“.**

საქართველოს თასის გათამაშება მეოთხედ გაიმართა. პირველი ტურნირი, 2014 წელს „სამტრედიამ“ მოიგო, შემდეგი სამი ფინალი კი ბათუმელთა მონაწილეობით გაიმართა. 2015 წელს მათ 20:19 დაამარცხეს სტუ, ხოლო შარშან 29:30 წააგეს „პეგასთან“. ამ ორი ჯილდოს გარდა, კლუბი საქართველოს სამგზის ჩემპიონია (2016, 2018, 2019).

2019 წლის გათამაშების ფინალში ნამდვილად ორი უძლიერესი გუნდი გავიდა. „შავი ზღვის ბიჭების“ (მწვრთნელები **მერაბ ჭანტურია, მამუკა მჟავანაძე**) უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და საბოლოოდ ყველაფერი სეზონის პირველი ტიტულით დაგვირგვინდა. ამ ორი კლუბის მეტოქეობა საქართველოს ჩემპიონატში გაგრძელდება, რომლის სტარტიც 5 ნოემბერსაა დანიშნული, იქამდე კი საქმეში ერთვება საქართველოს ეროვნული ნაკრები.

ორშაბათიდან იგი მაკედონიაში შეიკრიბება, სადაც 25 და 26 ოქტომბერს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან.

გეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერები

ესპანურმა გამოცემამ ქართველები გამოარჩია

ყაზანის „რუბინის“ ლეგიონერები ზურიკო დავითაშვილი და ხვიჩა კვარაცხელია ესპანურმა გამოცემამ გამოარჩია. Fichajes-მა ქართველები რუსეთის პრემიერლიგის ხუთ ტალანტ ფეხბურთელში შეიყვანა.

„დავითაშვილი „რუბინის“ მარჯვენა ფლანგის ოსტატი და ბატონი გახდა, რომელიც თავის ნიჭს შესანიშნავად იყენებს და ამის ხარჯზე ცენტრისკენ ზონებს ხშირად ეძებს.

ხვიჩა კვარაცხელია კიდევ ერთი ნიჭიერი ქართველია, რომელიც გამოირჩევა „რუბინის“ რიგებში, მაგრამ არა იმავე ავტორიტეტით, როგორც მისი თანამემამულე. რუსული გუნდის სასტარტო თერთმეტეულში ადგილი მან ჯერ ვერ მოიპოვა“, — წერს ესპანური ვებ-გვერდი.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში დავითაშვილმა 9 მატჩში 1 გოლი გაიტანა, ხოლო კვარაცხელიამ ასევე ერთი გოლის გატანა 11 შეხვედრაში მოახერხა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზურიკომ მოედანზე 756 წუთი გაატარა, ხოლო ხვიჩამ - 485.

გიორგი ზოთაძე

◎ ელიტაში

ჩილიჩის მე-500!..

მოსკოვის ტურნირის — „კრემლის თასი“ 1/8-ფინალში მარინ ჩილიჩმა ივო კარლოვიჩი 6:1, 7:6 დაამარცხა და კარიერაში ერთეულთა თანრიგში მე-500 გამარჯვება მოიპოვა.

ხორვატი მოქმედ ჩოგბურთელთა შორის მეათე მოთამაშეა, რომელმაც ამდენი შეხვედრა მოიგო.

მომდევნო ეტაპზე ჩილიჩი ჟერემი ჩარდის ეთამაშება.

მოქმედ ჩოგბურთელებს შორის მოგებული მატჩების რაოდენობით ლიდერობენ::

1. როჯერ ფედერერი — 1229, 2. რაფაელ ნადალი — 967, 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი — 878, 4. ენდი მარეი — 666, 5. ტომაშ ბერდიხი — 640, 6. ფერნანდო ვერდასკო — 544, 7. რიშარ გასკე — 537, 8. ტომი რობრედო — 533, 9. სტენ ვავრინკა — 509, 10. მარინ ჩილიჩი — 500.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

თურმე, ეკვადორელსაც...

იდგა ჩვენი წელთაღრიცხვით 2018 წელი. ეკვადორის საუკეთესო ასულნი გადი-გამოდიოდნენ კომპეტენტური, მაგრამ მკაცრი ჟიურის წინაშე და ყოველმხრივ ცდილობდნენ მათთვის თავის და სხვა რამე-რუმეების მოწონებას. თუმცა, მრავალთაგან იმარჯვა მხოლოდ ერთმა, რომელსაც მშობლებმა მისმა უწოდეს ნორმა და გვარი მისი არს ტეჯადა.

მას შემდეგ, რაც მშვენიერი ნორმა ტეჯადა მის ეკვადორის ტიტულს დაეუფლა, ცხადია, ამ გოგონასადმი ცხოველი დაინტერესება გაიზარდა და სრულიად ლათინური ამერიკის ბიჭ-ბუჭობამ ჭყიტა თვალები. არადა, როგორ გინდა მშვიდად იყო, როდესაც ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ცხოვრობ და ასეთი დიდებული ასულის მხილველი ხარ?!...

თუმცა, მშვენიერი ნორმას ფიქრნი სულ სხვა მამრს დასტრიალებს და ბევრი სხვა ასულის დარად, ამ გოგოსაც კრიშტიანუ რონალდუ შეჰყვარებია. ბულვარული პრესის მოკალმეებთან გულდათუთქვით საუბრისას ნორმა ტეჯედას უთქვამს, რომ მისი ოცნებაა კრიშტიანუს გაცნობა, ხოლო ამ გაცნობას რაც შეიძლება მოჰყვეს, იმაზე კი აღარაფერი უთქვამს. ზოგჯერ ყველაფერი ისედაც გასაგებია...

როსტომ რაჭველიშვილი

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

მეიდანი,

ციხის მეიდანი, თათრის მოედანი თუ შეითან გაზარი?

„... მეფემან გიორგიმ ...ეს წყალობის წიგნი ...გიბოძეთ ...ექიმს პეტრეს ...მეიდნის ქვეით შეითან ბაზარში, ორი დუქანი...“ —

(გიორგი XII-ის წყალობის ფურცელი, 1799 წ.).



ექიმი პეტრე ვინ იყო, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ სიტყვა „შაიტან“ არაბულიდან ავ სულს და ეშმაკს რომ ნიშნავს, ეს ბევრს გეცოდინებათ. მეიდანი კი ყველამ ვიცით — ეს დღევანდელი ვახტანგ გორგასლის მოედანია.

მეიდანი ხომ ჩვენი თბილის-ქალაქის ერთ-ერთი პირველი მოედანი და გული და სულია. ტფილისის ეს გული და სული კი ოდითგანვე გამოირჩეოდა სიჭრელით — აქ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოდგმის, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს მრავლად შეხვდებოდით. მოკლედ, ტფილისი ოდითგანვე „ჭრელი“ ქალაქი იყო, სადაც საუკუნეების მანძილზე ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სპარსელები და თურქები, ქურთები და სომხები, გერმანელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები და, რა თქმა უნდა, ჰურიები“.

სხვათა შორის, ჩვენ თბილის-ქალაქში მუსლიმი მოსახლეობა VII საუკუნიდან გაჩნდა, ძირითადად მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს ტფილისი. XI საუკუნეში დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში დასრულდება არაბების ოთხსაუკუნოვანი ბატონობა ტფილისზე, მაგრამ ბრძენი დავითი ტფილისელ მუსლიმებს ყოველ წელს ყოველ დღესასწაულს მიულოცავს და, რა თქმა უნდა, სამეფო ოჯახის წევრებთან ერთად.

მოგვიანებით საქართველოს დედაქალაქი მონაცვლეობით გადავა ხან სუნიტი ოსმალების, ხან კი შიიტი სპარსელების ხელში და შუა საუკუნეების ტფილისში, მოედნის ახლოს, რამდენიმე მეჩეთი გაჩნდება. სწორედ, XVI საუკუნეში აშენდება ტფილისის ყველაზე დიდი მეჩეთი — შაჰ-ისმაილის მეჩეთი, რომელიც ულამაზესი ყოფილა ერთ დროს (მეჩეთი შეეწირება დღ. მეტეხის ხიდის მშენებლობას). XVIII საუკუნეში სუნიტები ახალ მეჩეთს ააშენებენ, რომელსაც შიიტები მალევე დაანგრევენ და XIX საუკუნეში სუნიტური მეჩეთი კვლავ აღდგება. ეს კი დღევანდელი ჯუმა მეჩეთი გახლავთ, რომელიც ესე რიგ ამშვენებს ჩვენ თბილის-ქალაქს (ჯუმა მეჩეთი ერთადერთია მსოფლიოში, სადაც სუნიტები და შიიტები დღემდე ერთად აღავლენენ ლოცვას ალაჰისადმი).

ჩვენი თბილის-ქალაქის ისტორულ მეიდანს ასევე ამშვენებს ცისფერგუმბათიანი სურფ-გევორგის გრეგორიანული ეკლესია (XIII ს.). იცით თუ არა, სურფ-გევორგის ეკლესიის ეზოში, ცნობილი აშუღი (სახალხო მგოსანი) და ერთ დროს თვით მეფე ერეკლეს კარის პოეტი — საიათნოვა რომ არის დასაფლავებული?! ამბობენ, პოეტს თავად მეფის ქალი ჰყვარებია და ამ სიყვარულის გამო დაუკარგავს სამსახური და დარჩენილი ცხოვრება ხეტიალსა და სიმღერაში გალიაო ...ჰო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ საიათნოვა დაღუპულა „დღესა სამშაფათსა ... რიცხვსა ენკენისთვესა“, ანუ როცა ის „ბოროტი და სისხლით გაფუჭებული“ საჭურისი აღა-მაჰმად ხანი გადაწვავს ტფილისს და ამოჟლეტს ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს (1795 წლის 11 სექტემბერი).

ო-ო! მივადექი ებრაელებს, ქართველ ებრაელებს, რომლებიც ისტორიულად მეიდნის სიახლოვეს ცხოვრობდნენ. **„...ქართველ ებრაელთ თავიანთ სამლოცველოს დამთავრება ტფილისში ძალიან უჭირდათ, რადგან ასეთ უზარმაზარ შენობას დიდი ფული უნდა. ...ეს დიდი შენობა მთლად ქართველ ებრაელთა წვლილით არის ნაშენი. ევროპიდან ან რუსეთიდან მოსულ ებრაელებს ამათ-თან კავშირი და მისვლა-მოსვლა არა აქვთ“** — ამას დაწერს გაზეთი „დროება“ 1909 წელს „დიდი სინაგოგის“ მშენებლობასთან დაკავშირებით და აქვე გეტყვით, ძვ. წ.VI საუკუნეში საქართველოში მოსული ებრაელები, მოგვიანებით ტფილისში, ქვემო კალაში, დასახლებულან და ქვემო კალას სინაგოგაშივე აღავლენდნენ ლოცვას საუკუნეების განმავლობაში (სამწუხაროდ, ეს უძველესი სინაგოგა ჩვენამდე ვერ მოაღწევს, ხოლო „დიდი სინაგოგა“ გაიხსნება 1910 წელს).

ასე და ამგვარად, პატარა ტფილისის პატარა მოედანზე და მის სიახლოვეს ერთმანეთის გვერდიგვერდ საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ ქრისტიანები, მაჰმადიანები და ჰურიები.

რაც შეეხება თავად მოედანს — მოედანი მრავალჯერ შეიცვლის დასახელებას — **მეიდანი, ციხის მეიდანი, ქვემო მეიდანი, სამხედრო მოედანი, თათრის მოედანი და შეითან ბაზარიც** კი და ამ უკანასკნელზე, საინტერესო ამბავსაც გიამბობთ, მაგარამ ალბათ მანამდე იკითხავთ — ჰო, მაგრამ სახელწოდება „თათრის მოედანი“ საიდან მოდისო?! გპასუხობთ — საუკუნეების მანძილზე დამპყრობელი სპარსელები და ოსმალები ხომ აქ სახლდებოდნენ და აქვე მოედნის სიახლოვეს იდებდნენ ბინას. ჰოდა, აქედან უნდა მოდიოდეს ხალხში გამჯდარი სპარსელებისა და ოსმალების განზოგადებული სახელის „თათრის“ გადატანა მოედნის სახელზე.

მოკლედ, მოედანი კი იცვლიდა სახელს, მაგრამ დანიშნულებას არა და არ. ისტორიულად ტფილისი ხომ სავაჭრო ცენტრი გახლდათ, ჰოდა, ტფილისის სავაჭრო ცენტრად სწორედ, რომ თათრის მოედანი ითვლებოდა, სადაც სურსათ-სანოვაგის დუქნები მრავლად ყოფილა გაფენილი და სწორედ, აქ ამარაგებდა სოფელი ქალაქს — განა აქ არ ხდებოდა ვაჭართა და სოფლელთა აღებ-მიცემა?! განა აქ არ მოდიოდნენ ტფილისელები სურსათ-სანოვაგის საყიდლად?! განა აქვე არ ტრიალებდნენ „პერეკუპშიკებიც“ (ქორვაჭრები)?! ჰოდა, თათრის მოედანზე დილა, შუადღე, საღამო ხალხი „ბუზებივით ირეოდა“, მააშ.

რაც შეეხება „შაითან ბაზარს“ — XVIII საუკუნის ტფილისში თათრის მოედანს, სამხრეთის მხრიდან, მტკვრის დაღმა, პატარა ქუჩა — შეითან ბაზარი ემიჯნებოდა. XIX საუკუნის მიწურულს ქუჩა მ. ვორონცოვის (კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1853 წწ.) სახელსაც კი ატარებდა, მაგრამ თავად ტერმინი „შეითან ბაზარი“ იმდენად იყო გამჯდარი ტფილისელებში, რომ თათრის მოედანსაც კი შეითან ბაზარს ეძახდნენ.

შეითან ბაზარი, ანუ „ეშმაკის ბაზარი“ — ეს სახელი კი ზედგამოჭრილი იყო იმ ქუჩისთვის, სადაც **„... თავს იყრიდნენ ჯიბგირები, ქურდები, კარტოფნიკები, კაცის მკვლელები, ყალბი ფულის გამსაღებლები, ქალების მომტაცებელნი, პორტმანის დამგდებელნი, „მოკლედ, „...ყოველგვარი საზიზღარი საქციელის პატრონები“. აქ, ამ ქუჩაზე „...საროსკიპო სახლები იყო. ამ ქალებში მეტი წილი მაჰმადიანები იყო... უკეთუ ვისმეს შენიშნავდნენ, რომ ზედ ფული აქვს, მოკვლა და მტკვარში გადაგდებაც იმათი ხელობა იყო“** — (კარაპეტ გრიგორიანცი, თვითნასწავლი მხატვარი, XIX ს.). ვახ, თურმე რა ამბები ტრიალებდა ერთ დროს ჩვენ თბილის-ქალაქში!

რუბრიკის წინა თავში მეტეხის ხიდზე გიამბეთ და მკითხველს ემახსოვრება, რომ რკინის კონსტრუქციის ხიდი 1951 წელს აშენდა და სწორედ, ამ ხიდის მშენებლობას მოჰყვება ჩვენი თბილის-ქალაქის ისტორიული უბნებისა და კოლორიტული ქუჩების შეცვლა-გაფართოება. სწორედ, ამ შეცვლა-გაფართოებას ნაწილობრივ შეეწირება მეიდანი, ციხის მეიდანი, თათრის მოედანი თუ შეითან ბაზარი ... და „ძველი ტფილისის ქეშიკი“ იოსებ გრიშაშვილი გულდაწყვეტილი დაწერს...

„ქუჩებს აფართოებენ,/ასწორებენ იწროებს,/ქუჩებს აფართოებენ,/სული შეავიწროეს“.

„ეროვნული პარკები და ეკოტურიზმი“

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ახალი პროექტი „ეროვნული პარკები და ეკოტურიზმი“ იწყება.

პროექტს, რომლის მიზანია დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურული განვითარების, მართვის გაუმჯობესების და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ამერიკის შეერთებული შტატების შინაგანი დეპარტამენტი განახორციელებს.

შეთანხმებას ხელი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, USAID-ის მისიის დირექტორმა პიტერ ვიბლერმა და აშშ-ის შინაგანი დეპარტამენტის წარმომადგენელმა, პროექტის ხელმძღვანელმა პიტერ ქელერმა მოაწერეს.

შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელისაბეთ რუდი ესწრებოდა.

შეხვედრაზე **ლევან დავითაშვილმა** მადლობა გადაუხადა ელჩის მოვალეობის შემსრულებელს მხარდაჭერისთვის და ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ამერიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა მრავალ მიმართულებას მოიცავს, მათ შორის აღსანიშნავია დაცული ტერიტორიების მართვის კუთხით მხარდაჭერა. ახალი პროექტი, რომლის განხორციელებასაც ვიწყებთ, ხელს შეუწყოს როგორ სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა ეკონომიკური პროექტის განხორციელებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ელიზაბეთ რუდმა პროექტის დაწყების შეთანხმების ხელმოწერას პარტნიორული ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლა უწოდა და აღნიშნა, რომ მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

„საქართველო-ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო მოხარულია, რომ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საქართველოს მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში ეხმარება. ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი ბუნებრივი ტერიტორიების დაცვა და განვითარებაა. მოხარული ვარ, რომ USAID-ის დახმარებით, ახალ პროექტს ვიწყებთ, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარებას, მართვის სისტემის გაუმჯობესებას და მდგრად განვითარებას. ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი თემების ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობისთვის“, — განაცხადა ელიზაბეთ რუდმა. როგორც USAID-ის მისიის დირექტორმა **პიტერ ვიბლერმა** აღნიშნა, სააგენტოს აქვს მთავარი მიმართულებები და მიზნები საქართველოსთან მიმართებაში, რაც ქვეყნის შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას გულისხმობს.

„დაცული ტერიტორიები საქართველოს საგანძურია, რომელსაც დაცვა და განვითარება სჭირდება. პროექტი ასევე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების შექმნის და ქვეყნაში ეკონომიკური ზრდის წახალისების თვალსაზრისით. ეს გახლავთ, USAID მეშვეობით, კიდევ ერთი მაგალითი ამერიკის მთავრობის დახმარებისა საქართველოს მიმართ“,- განაცხადა პიტერ ვიბლერმა.

ნანა დგებუაძე, ქეთინო გაგუა, ლალი იობიძე, ზოია კუხალაშვილი, დუდარი სანაძე, ამირან მენაბდე, შალვა და მიშიკო მგალობლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეგობარი და ყოფილი თანამშრომელი

ელენე კალესნიკოვა

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

სვეტიცხოვლობის მადლით აღსავსე პოეტმა და პუბლიცისტმა, 90 წლის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნანა ღვინეფაძემ ეს ახალი ლექსი გუშინ გამოგვიგზავნა. ეს ნათელი სტრიქონები, როგორც ყოველთვის, სავსეა მზითა და სიკეთით, საქართველოს წარსულისა და დღევანდელობის სიყვარულით...

მკითხველს სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენი მხცოვანი პოეტისა და ჟურნალისტის ამ ლექსს.

ნანა ღვინეფაძე

გორგასალის მეფობაში!..

ვუძღვნი მზექალა შანიძეს

...გორგასალის სამეფოში
იყო მზე და იყო მთვარე!..
იყვნენ ულამაზესები
პირიმზე და პირიმთვარე!..
გორგასალის სამშობლოში
ქართლის მზე და
ქართლის მთვარე!..
მზექალობით გადანათდა
დიდი საქართველოს მხარე!

სად არისო ეს ქვეყანა?!
იკითხავენ შორიშორსო?!
– სადაც კავკასიონია,
არც ახლოს და არცა შორსო!
სადაც იყო ამირანი,
ვინაც სტუმრობს დღესაც შოვსო!..
საიდანაც ასხივოსნებს
საქართველოს შორით შორსო!
გაგვახსენებს საქართველოს
სიქველეს და მართლაც შნოსო!..
ამირან დარეჯანის ძე
ახალ საქართველოს შობსო!..

16.09.2019

რეზო გაბრიაძის ანიმაცია ოსკარისთვის იბრძოლებს

რეზო გაბრიაძის მოთხრობების მიხედვით გადაღებული ანიმაციური ფილმი „ჰარი-ჰარალე დედაო“ (ფილმის ინგლისური სახელწოდება REZO) ოსკარზე, საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების კატეგორიაში, შორთ ლისთში მოხვდა.

ამ კატეგორიაში სულ 32 სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმია, მათგან საუკეთესოებს კი 2020 წლის 13 იანვარს გამოავლენენ და სწორედ ისინი გააგრძელებენ ფინალურ ბრძოლას ოსკარისთვის.

„ჰარი-ჰარალე დედაო“ 2018 წელს მხატვრის, რეჟისორისა და მწერლის რეზო გაბრიაძის მოთხრობების მიხედვით შეიქმნა. რეჟისორი რეზო გაბრიაძის შვილი ლევან გაბრიაძეა.

ბოინგის ახალი დეფექტები

კომპანია Boeing-მა Boeing 737 Next Generation **მოდელის საჰაერო ხომალდებში ფიუზელაჟთან ფრთის სამაგრში, ხარვეზი აღმოაჩინა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას** USA today **ფედერალურ საავიაციო ადმინისტრაციაზე** (FAA) **დაყრდნობით ავრცელებს..**

ხარვეზი შემოწმებული 686 თვითმფრინავიდან 36-ს დაუფიქსირდა. FAA-ს მონაცემებით, ბზარმა დეტალში, რომელსაც „კიტრის ჩანგალი“ ეწოდება, შესაძლოა მთლიანობის დარღვევა და თვითმფრინავზე კონტროლის დაკარგვა გამოიწვიოს.

◎ დღესასწაული

მოციქული თომა

წმიდა და ყოვლადქებული

9 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მაცხოვრის ერთ-ერთ ათორმეტ მოწაფეთაგანს – თომას. წარმოშობით იგი გალილეიდან იყო, პანეადიდან, მისდევდა მეთევზეობას. მას არ სჯეროდა უფლის მოწაფეების მტკიცება ქრისტეს აღდგომის შესახებ.

ცნობილია, რომ ბრწყინვალე შვიდეული თომას კვირის მერვე დღეს სრულდება, რომელიც ამის გამო ძველთაგანვე დიდ დღესასწაულად ითვლებოდა, როგორც პასქალური დღის ერთგვარი შეცვლა, განმეორება. ამის გამო ეს დღე იწოდებოდა ახალ კვირად, განსაკუთრებით კი თომას წინაშე, რომელმაც მხოლოდ უფლის ჭრილობების ხილვის შემდეგ ირწმუნა მისი აღდგომის ჭეშმარიტება.

საგულისხმოა ისიც, რომ თომა სწორედ ამის შემდეგ გახდა სხვა მოწაფეებზე მეტად მორწმუნე...

საეკლესიო გადმოცემების თანახმად, თომა მოციქულმა დაარსა ქრისტიანული ეკლესიები პალესტინაში, მესოპოტამიაში, პართიაში, ეთიოპიაში და ინდოეთში.

სახარების ქადაგება თომა მოციქულმა აღბეჭდა თავისი მოწამებრივი აღსასრულით... მისი წმიდა ნაწილები დაცულია ინდოეთში, უნგრეთსა და ათონზე.

გიული ლიპარტია

მსოფლიოს ყველაზე დატვირთული აეროპორტები

აშშ-ის ქალაქ ატლანტის ჰართსფილდ-ჯექსონის საერთაშორისო აეროპორტი 2018 წლის ყველაზე დატვირთულ აეროპორტად დასახელდა. აეროპორტების საერთაშორისო საბჭოს (Airports Council International) **მონაცემებით, გასულ წელს ატლანტის აეროპორტის მგზავრთნაკადი 3,3%-ით გაიზარდა.**

მსოფლიოს მასშტაბით, მგზავრთნაკადი 6,4%-ით გაიზარდა და 8,8 მილიარდი ადამიანი შეადგინა. მათივე ცნობით, 2008 წელს 16 წელიწადში 40 მილიონზე მეტ მგზავრს 16 აეროპორტი ემსახურებოდა, ახლა კი მათი რიცხვი 54-მდეა გაზრდილი.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე დატვირთული აეროპორტების სიის პირველი სამეული უცვლელი რჩება. მეორე ადგილზე პეკინის საერთაშორისო აეროპორტი „შოუდუ“, მესამეზე კი დუბაის საერთაშორისო აეროპორტი იმყოფება.

სიის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. ატლანტის ჰართსფილდ-ჯექსონის საერთაშორისო აეროპორტი (ჯორჯია, აშშ) – 107,4 მილიონი მგზავრი;
2. პეკინის საერთაშორისო აეროპორტი (ჩინეთი) – 101 მილიონი;
3. დუბაის საერთაშორისო აეროპორტი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) – 89,1 მილიონი;
4. ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტი (კალიფორნია, აშშ) – 87,5 მილიონი;
5. ტოკიოს ჰანედას აეროპორტი (იაპონია) – 86,9 მილიონი;
6. ჩიკაგოს ო'ჰარეს საერთაშორისო აეროპორტი (ილინოისი, აშშ) – 83,2 მილიონი;
7. ლონდონის ჰითროუს აეროპორტი (გაერთიანებული სამეფო) – 80.1 მილიონი;
8. ჰონგ-კონგის საერთაშორისო აეროპორტი (ჩინეთი) – 74,5 მილიონი;
9. შანხაის პუდუნის საერთაშორისო აეროპორტი (ჩინეთი) – 74 მილიონი;
10. პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტი (საფრანგეთი) – 72,2 მილიონი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9682; ევრო - 3.2980;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8242;
100 რუბლი - 4.6380; თურქული ლირა - 0.5041;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7481;
1000 სომხური დრამი - 6.2161.

ამინდი 19 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge